



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რედას“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების¹ შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

- ია ქურიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრ(ებ)ი:

- კესო ბოყოველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
- ნინო ფსუტური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
- ნინო მარდიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
- გიორგი ნებიერიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
- ქეთევან ქობალა - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
- ლეილა ხელისუფალი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
- ხათუნა ჯიმშიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
- მარი ფალელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
- მზია დადვანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

¹ **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

- ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება
- ☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- ☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ გეგმიური

☐ არაგეგმიური

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რედა“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	216305200

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. რუსთავი
ფაქტობრივი მისამართი	დ.გარეჯის ქ. N2
საფოსტო ინდექსი	2700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://retsa.edupage.org/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	dbabuleishvilib@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	599589651

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 16 ოქტომბრის N MES 3 24 0001333660
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	31 ოქტომბერი და 01 ნოემბერი, 2024 წელი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 16 ოქტომბრის N MES 3 24 0001333660 ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის 31 ოქტომბერსა და 01 ნოემბერს განხორციელდა გეგმური მონიტორინგი შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიან სკოლა „რეცა“-ში (შემდგომში - სკოლა/დაწესებულება). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, როგორც პირდაპირ (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები), ასევე დისტანციურ ფორმატში (საგნობრივი ექსპერტები). ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტამდე გაეცნო სკოლის მიერ წინასწარ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ვიზიტის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მატერიალური და სასწავლო რესურსები. ვიზიტის პროცესში ექსპერტები კომუნიკაციაში იმყოფებოდნენ სკოლის წარმომადგენლებთან და განხორციელდა არაერთი ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წევრებთან.

საგნობრივ ექსპერტებს, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განეხორციელებინათ სასწავლო პროცესში გამოყენებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსების, ასევე, ადამიანური რესურსის (პედაგოგები) კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან. ზემოაღნიშნული განხორციელდა მატერიალური რესურსებისა და სასკოლო გარემოს დათვალიერების, ინტერვიუების, თანამშრომელთა პირადი საქმეების, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პედაგოგების პორტირებული მონაცემების განხილვის, ასევე, იმ ფოტომასალის საფუძველზე, რომელიც ვიზიტის შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ გადაეგზავნათ ექსპერტებს. სხვა საგნობრივ ექსპერტებთან ერთად, ინტერვიუება და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლა განახორციელა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა დაწყებითი კლასების საგნებთან (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) მიმართებით, რომელთან კოორდინირებული მუშაობითაც, საგნობრივი ექსპერტების მიერ განხორციელდა დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმების შევსება და შეფასებების ასახვა.

ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
327	208

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია მტკიცებულებების სახით. ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ,

- სრულად აღმოიფხვრა ხარვეზი პირველი სტანდარტის შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით: 1.1.1.2; 1.1.1.3; 1.1.1.4; 1.2.1.1; მეორე სტანდარტის შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით: 2.2.2.1 (საბაზო და საშუალო საფეხურებზე); მესამე სტანდარტის შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით: 3.3.1.1; 3.3.2.2; 3.4.1.2; 3.6.1.2; 3.6.3.1; 3.6.3.2; 3.6.3.3; მეოთხე სტანდარტის შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით: 4.1.2.4; 4.2.1.6 და 4.2.4.1 ინდიკატორებთან მიმართებით, რის შედეგადაც აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა როგორც „შეესაბამება“;
- პირველი სტანდარტის ინდიკატორები: 1.2.1.2; 1.2.1.3; 1.2.1.4; მეორე სტანდარტის ინდიკატორები: 2.1.2.3 (საბაზო და საშუალო საფეხურებზე); მესამე სტანდარტის ინდიკატორები: 3.4.1.1; 3.4.1.3; 3.4.1.8; 3.5.1.1; 3.5.1.4; 3.6.2.2; 3.6.3.5; ხოლო მეოთხე სტანდარტის ინდიკატორები: 4.1.2.3; 4.2.4.2 და 4.2.4.3 შეფასდა როგორც მეტწილად „შეესაბამება“;
- მეორე და მესამე სტანდარტების რიგ ინდიკატორებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“. ეს ინდიკატორებია: მეორე სტანდარტთან მიმართებით: 2.1.2.1; 2.1.2.2; 2.1.2.5; 2.2.1.1; 2.2.1.3; 2.2.2.4 (დაწყებით საფეხურზე); 2.1.2.1; 2.1.2.2; 2.1.2.5; 2.2.1.3; 2.2.2.4 (საბაზო საფეხურზე); 2.1.2.1; 2.1.2.2; 2.1.2.5; 2.2.1.3; 2.2.2.4

(საშუალო საფეხურზე), ხოლო მესამე სტანდარტთან მიმართებით: 3.1.1.1; 3.1.1.2; 3.1.2.1; 3.1.2.3; 3.1.2.4; 3.1.2.5; 3.2.1.2; 3.2.1.3; 3.7.1.1 და 3.7.1.2.

აღსანიშნავია, რომ საშუალო საფეხურზე 2.1.2.2 ინდიკატორთან მიმართებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებები გაზიარებულ იქნა ნაწილობრივ, ცალკეული საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით, თუმცა ვინაიდან საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ იქნა აღმოფხვრილი ხარვეზი, ინდიკატორი საბოლოოდ შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.

შედეგად, სტანდარტი 1 და სტანდარტი 4 შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“, ხოლო სტანდარტი 2 და სტანდარტი 3 შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, რაც მდგომარეობს შემდეგში: 1. სკოლის მოქმედ სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ პასუხისმგებელ ერთეულად მითითებულია ხარისხის განვითარების ჯგუფი, თუმცა ასეთი ჯგუფის ფუნქციების განსაზღვრისა და საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულება სკოლას არ წარმოუდგენია. 2. სკოლის შინაგანაწესში მოხსენიებულია წესრიგის მენეჯერი, თუმცა მსგავს პოზიციას და ფუნქციებს სკოლის წესდება ან სამუშაო აღწერილობები არ შეიცავს. 3. სკოლას არ განსაზღვრული საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის/პირების ფუნქციები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად. 4. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კვების ობიექტის მონიტორინგის ჯგუფი არ არის სრულყოფილად დაკომპლექტებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 24 ნოემბრის 523 0001601881 ბრძანებით

		დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისათვის დადგენილი მოთხოვნების“ შესაბამისად. 5. სკოლის მიერ წარმოდგენილი პედაგოგიური საბჭოს დებულებით განსაზღვრული საბჭოს ფუნქციები წინააღმდეგობაში მოდის სკოლის წესდებით განსაზღვრულ საბჭოს ფუნქციებთან.
ინდიკატორი N3.1.1.2	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების და პასუხისმგებლობების გადანაწილება არ არის სრულყოფილი. სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება არ ემთხვევა სკოლის მიერ განხორციელებულ პრაქტიკულ მმართველობით საქმიანობას. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სკოლის საქმიანობის შედეგად საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნების მიღწევას (იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა).
ინდიკატორი N3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, რაც მდგომარეობს შემდეგში: 1. სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ. 2. მასწავლებლების ხელშეკრულებების ნაწილში არ არის გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება და სამუშაო საათების ოდენობა. 3. 2022 წელს გაფორმებულ მასწავლებლობის მაძიებლობის ხელშეკრულებების მოქმედების ვადა ექსპერტების ვიზიტის თარიღისთვის ამოწურულია. 4. 2023 წელს გაფორმებულ მასწავლებლობის მაძიებლობის ხელშეკრულებებში მითითებული 6 თვიანი გამოსაცდელი ვადა გასულია და ღიად არის დატოვებული ხელშეკრულების მოქმედების

		მაქსიმალური ვადა (გამოსაცდელი ვადის გაგრძელების შემთხვევაში); 5. სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის ხელშეკრულებებში განსაზღვრულია, რომ მათი ფუნქციები გათვალისწინებულია დანართში, თუმცა ხელშეკრულებას არ ახლავს ასეთი დანართი. <i>(ხარვეზებთან მიმართებით იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა)</i>
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები არ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, რაც მდგომარეობს შემდეგში: 1. 2024 წლის დეკემბრამდე, teacherjobs.ge-ს გვერდზე სკოლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების დროს სკოლას არ აქვს განსაზღვრული საკონკურსო პირობები; 2. საკონკურსო კომისიის ოქმში ნახსენებია, რომ გადაწყვეტილება მიიღო 2022 წელს შექმნილმა კომისიამ, თუმცა კომისიის ბრძანება სკოლამ ვერ წარმოადგინა. 3. სკოლამ ვერ წარმოადგინა ექიმის კონკურსის წესით მიღების დამადასტურებელი საკონკურსო დოკუმენტაცია. 4. თანამშრომელთა პირად საქმეებში სრულყოფილად არ არის განთავსებული სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, კერძოდ, დიპლომები და ნასამართლეობის ცნობები (ნასამართლეობის შესახებ, სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ). 5. სკოლამ ვერ წარმოადგინა 14 თანამშრომლის პირადი საქმე; 6. სკოლას ყველა თანამშრომელთან არ აქვს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებების უმრავლესობის მოქმედების ვადები გასულია.

		7. მასწავლებლების ნაწილთან, როგორც მასწავლებლობის მაძიებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, თუმცა ისინი არ არიან შერჩეულები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს N169/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით, შესაბამისად, ისინი არ არიან ჩართულები მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამაში. 8. მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამაში ჩართული მასწავლებლების ნაწილთან გასულია მაძიებლობის 2 წლიანი ვადა. ამოწურულია 2022 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადები და ორწლიანი პერიოდის განმავლობაში არ გაუვლიათ მაძიებლობის კანონმდებლობით განსაზღვრული პროგრამა. გარდა ამისა, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მიუხედავად, ისინი კვლავ აგრძელებენ სკოლაში მუშაობას. 9. შემცველ მასწავლებელთან არ არის გაფორმებული შესაბამისი, შემცველი მასწავლებლის ხელშეკრულება, დროებით არმყოფი მასწავლებლის ჩანაცვლების მიზნით. <i>(ხარვეზებთან მიმართებით იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა)</i>
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	პერსონალის კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ: 1. მასწავლებლობის მაძიებლების სტატუსის მქონე პირების ხელშეკრულების მოქმედების ვადების ამოწურვის დროისთვის მათ არ აქვთ მოპოვებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მასწავლებლის რომელიმე სტატუსი. 2. მასწავლებლობის მაძიებლობის ხელშეკრულებები გაფორმებულია მაძიებლობის სტატუსის სსიპ მასწავლებელთა პროფესიული

		განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს N169/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით დადასტრების გარეშე. 3. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებულია 2 პირი, რომლებსაც აქვთ ბიბლიოთეკარის დიპლომი. ასევე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებულია 2 პირი, რომელთაგან ერთ-ერთს აქვს ქიმიკოსის დიპლომი, ხოლო მეორეს - ტელევიზიისა და კინოს მხატვრობის დიპლომი. არცერთ მათგანს არ უდასტურდება შესაბამისი საგნობრივი კომპეტენცია და კვალიფიკაცია არც სტატუსით და არც სხვა დოკუმენტაციით.
ინდიკატორი N3.1.2.5	პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;	პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა არ ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც მდგომარეობს შემდეგში: პედაგოგიური საბჭოს ოქმებში არ ფიქსირდება დამსწრე წევრები, გამოთქმული მოსაზრებები, კენჭისყრის შედეგები. შესაბამისად, არ დასტურდება პედაგოგების მიერ კოლეგიურობის პრინციპით და თანამონაწილეობით გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს არ დაადასტურეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობის და სასკოლო კურიკულუმების ერთობლივად შემუშავების ფაქტი.
ინდიკატორი N3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	სკოლის მიერ არ ხორციელდება ყველა პერსონალის საჭიროებების გამოვლენა, შესაბამისი არ ხორციელდება პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება და მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

ინდიკატორი N3.2.1.3	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;	სკოლაში არ ხორციელდება პროფესიული საჭიროებების კვლევა და ანალიზი, სკოლა არ ახორციელებს არც კარიერული ზრდის ხელშეწყობისთვის საჭირო ღონისძიებებს. სკოლას 2022 წლიდან დასაქმებული ჰყავს მასწავლებლობის მაძიებლები, თუმცა არ განუხორციელებია მაძიებლობის პროგრამის წარმატებით გავლისთვის საჭირო აუცილებელი ღონისძიებები, რაც საშუალებას მისცემდა მასწავლებლობის მაძიებლებს კარიერული ზრდის კუთხით განუხორციელებინათ აქტივობები და მოეპოვებინათ კანონმდებლობით დადგენილი სტატუსისთვის საჭირო კვალიფიკაციები.
ინდიკატორი N3.7.1.1	სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;	სკოლის ფინანსური რესურსით არ არის ზრუნველყოფილი სამოქმედო გეგმის განხორციელება, კერძოდ: 1. სკოლის სამოქმედო გეგმაში არ არის გათვალისწინებული რა ფინანსური რესურსით გეგმავს სკოლა აქტივობების განხორციელებას. 2. სკოლას არ აქვს 2024-2025 სასწავლო წლის შემოსავლისა და ხარჯის ამსახველი სკოლის ბიუჯეტი. (ხარვეზებთან მიმართებით იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა)
ინდიკატორი N3.7.1.2	სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.	სკოლას არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა ფინანსური მართვის, კერძოდ, შემოსავლისა და ხარჯის დაგეგმვის, ფინანსების მონიტორინგისა და ანალიზის სისტემის არსებობის ვერანაირი შიდა მოქმედი მექანიზმი. (ხარვეზებთან მიმართებით იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	ბარჯეზი
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა: სკოლის საათობრივი ბაღე შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, რაოდენობრივად საათობრივი განაწილება სწორია. თუმცა, სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21³-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. გარდა ამისა, სკოლის მიერ გადმოგზავნილ საათობრივ ბაღეში აღნიშნულია რომ საგანი კომპიუტერული ტექნოლოგიები ისწავლება ყველა II-VI კლასებში. თუმცა, გასაუბრების პირველ დღეს მასწავლებელმა მკაფიოდ აღნიშნა რომ მე-2, მე-3 და მე-4 კლასებში მიმდინარე სასწავლო წელს საგანი არ ისწავლება და ისწავლება მხოლოდ მე-5 და მე-6 კლასებში. საგნობრივი ექსპერტის დამაზუსტებელი კითხვის შემდგომ, მასწავლებელმა აღნიშნა, რომ წინა სასწავლო წელს ეს საგანი II-IV კლასებში ისწავლებოდა, წელს არ ისწავლება და ტყუილს ვერ იტყვის ამის შესახებ. მეორე დღეს მასწავლებლებთან საერთო გასაუბრების დროს კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა განაცხადა, რომ წინა დღეს ის საუბრობდა პირველ კლასზე და არა II-IV კლასებზე, დაიბნა და სწორედ ამიტომ ვერ გასცა პასუხი საგნობრივ ექსპერტს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საათობრივი ბაღე შედგენილი არ არის მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების, ასევე, სკოლის ადამიანური რესურსის გათვალისწინებით.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლის მიერ განმეორებით წარმოდგენილ ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოებში არ არის მითითებული საათობრივი დატვირთვა და შესაბამისად, სასწავლო საგნის და თემის/საკითხის

		ჯამური საათობრივი დატვირთვა/გადანაწილება ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია და შეფასების რუბრიკები არ ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმას და საგნობრივ სტანდარტს.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა ვერ შეძლეს აღეწერათ თუ როგორ მიმდინარეობს სკოლაში სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, თუმცა, გაჩნდა გონივრული ეჭვი, რომ კურიკულუმის ჩარჩო და მასი შინაარსობრივი ნაწილი არის ფორმალური ხასიათის და სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად. მათ აღნიშნეს, რომ საგნების, „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“ პედაგოგი სამი კვირაა რაც დასაქმდა სკოლაში და მონიტორინგის ეტაპისთვის კარგად არ იცნობდა კლასებს, მოსწავლეთა საჭიროებებს, კურიკულუმებს; შესაბამისად, ჯერ არ ჰქონდათ განხორციელებული ის აქტივობები, რომელიც გაწერილია კურიკულუმებში.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია და შეფასების რუბრიკები არ ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმას და საგნობრივ სტანდარტს.

ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21³-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. უცხო ენები: სკოლაში დასაქმებულ პირველი უცხოური ენის ორ მასწავლებელს (ინგლისური ენა) მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21³-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სახელმწიფო ენა: სკოლაში სახელმწიფო ენის მიმართულებით ყველა პედაგოგს არ აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული კვალიფიკაცია. მათემატიკა: მათემატიკის მიმართულებით, ზოგიერთი მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ესთეტიკური აღზრდა: ესთეტიკური აღზრდის საგნებში დაწყებით საფეხურზე მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21³-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	ხარვეზი
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული წარმოადგენს კურიკულუმი მოსწავლეზე	საზოგადოებრივი მეცნიერებები:

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	გეოგრაფია - მე-7 კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში ვხვდებით სამიზნე ცნებას „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“. აღნიშნული სამიზნე ცნება არ არის გეოგრაფიის საბაზო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული. იმავე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „გეოგრაფიული გარსი“, „მოსახლეობა და მეურნეობა“ და „მდგრადი განვითარება“. მეოთხე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „მოსახლეობა და მეურნეობა“. მე-8 კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში ვხვდებით სამიზნე ცნებას „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“. აღნიშნული სამიზნე ცნება არ არის გეოგრაფიის საბაზო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული. იმავე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „გეოგრაფიული გარსი“, „მოსახლეობა და მეურნეობა“ და „მდგრადი განვითარება“. მეოთხე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „მოსახლეობა და მეურნეობა“. მე-9 კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში ვხვდებით სამიზნე ცნებას „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“. აღნიშნული სამიზნე ცნება არ არის გეოგრაფიის საბაზო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული. იმავე და ასევე, მეოთხე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „მოსახლეობა და მეურნეობა“. საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა: სკოლის საათობრივი ბაღე შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, რაოდენობრივად საათობრივი განაწილება სწორია. თუმცა, სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21³-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საათობრივი ბაღე შედგენილი არ არის სკოლის ადამიანური რესურსის გათვალისწინებით.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმში გაწერილი საათობრივი დატვირთვა არ შეესაბამება ერთმანეთს.

		საზოგადოებრივი მეცნიერებები: გეოგრაფია - მე-7 კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში ვხვდებით სამიზნე ცნებას „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“. აღნიშნული სამიზნე ცნება არ არის გეოგრაფიის საბაზო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული. იმავე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „გეოგრაფიული გარსი“, „მოსახლეობა და მეურნეობა“ და „მდგრადი განვითარება“. მეოთხე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „მოსახლეობა და მეურნეობა“. მე-8 კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში ვხვდებით სამიზნე ცნებას „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“. აღნიშნული სამიზნე ცნება არ არის გეოგრაფიის საბაზო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული. იმავე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „გეოგრაფიული გარსი“, „მოსახლეობა და მეურნეობა“ და „მდგრადი განვითარება“. მეოთხე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „მოსახლეობა და მეურნეობა“. მე-9 კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში ვხვდებით სამიზნე ცნებას „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“. აღნიშნული სამიზნე ცნება არ არის გეოგრაფიის საბაზო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული. იმავე და ასევე, მეოთხე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „მოსახლეობა და მეურნეობა“.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლის მიერ გადმოგზავნილი შეაფასების რუბრიკები არ ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმას და საგნობრივ სტანდარტს.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლის მიერ გადმოგზავნილი შეაფასების რუბრიკები არ ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმას და საგნობრივ სტანდარტს.

ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21³-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. უცხო ენები: სკოლაში დასაქმებულ პირველი უცხოური ენის ორ მასწავლებელს (ინგლისური ენა) მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21³-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სახელმწიფო ენა: სკოლაში ყველა მასწავლებელს არ აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული კვალიფიკაცია. მათემატიკა: მათემატიკის მიმართულებით, ზოგიერთი მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ესთეტიკური აღზრდა: ესთეტიკური აღზრდის საგნებში საბაზო საფეხურზე მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21³-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	ხარვეზი

ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმში თემები არასწორად არის წარმოდგენილი. უნდა იყოს ორი სავალდებულო თემა: „ხანმოკლე XX საუკუნე“ და „მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე“. მე-12 კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმში არ წარმოდგენია სკოლას, თუმცა ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ არსებობდა აღნიშნული დოკუმენტი. ასევე, საგან მოქალაქეობაში სკოლას არ წარმოდგენია არც განხორციელებული და არც მიმდინარე პროექტი. საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა: სკოლის საათობრივი ბადე შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, რაოდენობრივად საათობრივი განაწილება სწორია. თუმცა, სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21³-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საათობრივი ბადე შედგენილი არ არის სკოლის ადამიანური რესურსის გათვალისწინებით.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმში თემები არასწორად არის წარმოდგენილი. უნდა იყოს ორი სავალდებულო თემა: „ხანმოკლე XX საუკუნე“ და „მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე“. მე-12 კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმში არ წარმოდგენია სკოლას, თუმცა ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ არსებობდა აღნიშნული დოკუმენტი. ასევე, საგან მოქალაქეობაში სკოლას არ წარმოდგენია არც განხორციელებული და არც მიმდინარე პროექტი.

ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლის მიერ გადმოგზავნილი შეფასების რუბრიკები არ ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმას და საგნობრივ სტანდარტს.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლის მიერ გადმოგზავნილი შეფასების რუბრიკები არ ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმას და საგნობრივ სტანდარტს.
ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21³-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. უცხო ენები: სკოლაში დასაქმებულ პირველი უცხოური ენის ორ მასწავლებელს (ინგლისური ენა) მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21³-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სახელმწიფო ენა: სკოლაში ყველა მასწავლებელს არ აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული კვალიფიკაცია. მათემატიკა: მათემატიკის მიმართულებით, ზოგიერთი მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

		ესთეტიკური აღზრდა: ესთეტიკური აღზრდის საგნებში საშუალო საფეხურზე მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21³-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
--	--	--

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა²)

სტანდარტი NI	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი NI.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (27.12.2024-მდე) უზრუნველყოს: • შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების, ციკლური ბუნების გეგმის შემუშავება სკოლის მისაზე, ხედვასა და ღირებულებებზე დაყრდნობით და მასში მისიასთან თავსებადი მიზნებისა და მიზნის შესაბამისი ამოცანების გაწერა. • სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცება უფლებამოსილი პირის/სტრუქტურული ერთეულის მიერ.
ინდიკატორი NI.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (27.12.2024-მდე) უზრუნველყოს: • სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება; • ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება უფლებამოსილი პირის/სტრუქტურული ერთეულის მიერ.
ინდიკატორი NI.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (27.12.2024-მდე) უზრუნველყოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების

² გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	შესაბამისი რეალისტური აქტივობების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების და შესაბამისი რესურსების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახვა.
<i>სტანდარტი N3</i>	<i>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა</i>	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.12.2025-მდე) უზრუნველყოს: 1. საგანგებო სიტუაციებს მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება. 2. შენობის პირველ სართულზე არსებული, სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ოთახების გამოთავისუფლება გაზის ბალონებისგან. ასევე, სკოლის სამზარეულოსა და სველი წერტილების ნაწილში დამონტაჟებული გაზის წყლის გამაცხელებლების დემონტაჟი. 3. სკოლის სივრცეების ვიდეოსათვალითვალო სისტემით სრულყოფილად აღჭურვა იმგვარად, რომ იძლეოდეს სრული სივრცის კონტროლის საშუალებას. ასევე, ვიდეომონიტორინგის სივრცეებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების გამოკვრა.

	(სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.12.2025-მდე) უზრუნველყოს: 1. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შეთანხმება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან; 2. შინაგანაწესის შესაბამისობაში მოყვანა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების მოთხოვნებთან, კერძოდ, შინაგანაწესში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევების ასახვა, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული დისციპლინური ზომები, დამრიგებლებისა, მასწავლებლების, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების და სკოლის ადმინისტრაციის ვალდებულებების და მათ მიერ გასატარებელი ზომების ასახვა.
ინდიკატორი N3.4.1.8	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.12.2025-მდე) უზრუნველყოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის გამოყენება.

	შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	
ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.12.2025-მდე) უზრუნველყოს სასკოლო მატერიალური რესურსის საკუთრებაში არსებობის ან კანონიერი ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა. (იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა)
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.12.2025-მდე) უზრუნველყოს: 1. საპირფარეშოს შიდა სივრცის ადაპტირება შშმ პირთათვის; 2. სპორტული დარბაზის შშმ პირებისთვის წვდომის უზრუნველყოფა.
ინდიკატორი N3.6.2.2	სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.12.2025-მდე) უზრუნველყოს სკოლის საქმისწარმოებაში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული ისტემის დანერგვა.
ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.12.2025-მდე) უზრუნველყოს სკოლის შესახებ შემდეგი ინფორმაციის განთავსება: პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, სკოლის ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სამოქმედო გეგმის შსრულების შედეგები.

	კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N4.1.2.3	სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (27.12.2024-მდე) უზრუნველყოს მის მიერ შეთავაზებული მომსახურებების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ შესახებ სრული ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა.
ინდიკატორი N4.2.4.2	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (27.12.2024-მდე) უზრუნველყოს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის სერვისის მიმღებ მხარესთან შეთანხმებული პირობებით განხორციელება. (იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა)

	და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;	
ინდიკატორი N4.2.4.3	შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (27.12.2024-მდე) უზრუნველყოს დამატებითი მომსახურების მიმღები პირების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, ასეთი სერვისების მიწოდებაზე ხელშეკრულებების/შეთანხმებების გაფორმება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული სერვისების გაწევის ფარგლებში უსაფრთხოების დაცვის პირობები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლას მიეცეს რეკომენდაცია მოაწიოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია (სველი წერტილი, ამწოვი კარადა, სადემონსტრაციო მაგიდა ცეცხლგამძლე ზედაპირით) სადაც დაცული იქნება უსაფრთხოების ნორმები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლას მიეცეს რეკომენდაცია 2024-2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმში მითითებული საათობრივი დატვირთვა მოიყვანოს შესაბამისობაში.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლას მიეცეს რეკომენდაცია მოაწიოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია (სველი წერტილი, ამწოვი კარადა, სადემონსტრაციო მაგიდა ცეცხლგამძლე ზედაპირით) სადაც დაცული იქნება უსაფრთხოების ნორმები.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბებისას/რევიზიისას უსაფრთხო სოციო-კულტურული სივრცის არსებობა პრიორიტეტად გამოკვეთოს როგორც სკოლის ხედვაში, ასევე მისიაშიც.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	რჩევა

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის წესდებით განსაზღვრული სტრუქტურა, სკოლის გრაფიკული სტრუქტურა და სამუშაო აღწერილობებით დადგენილი პოზიციები.
ინდიკატორი N3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ ყველა დასაქმებული ვალდებულია სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების რეგისტრაცია ასახოს სამუშაო დროის აღრიცხვის ელექტრონული სისტემის საშუალებით, თუმცა სკოლას არ აქვს სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ასეთი ელექტრონული სისტემა. შესაბამისად, <u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , შეასწოროს აღნიშნული ჩანაწერი და მოიყვანოს შესაბამისობაში სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ფაქტობრივად მოქმედ სისტემასთან. ასევე, გაასწოროს ტექნიკური ხარვეზები დისციპლინური ზომის მოქმედების ვადასთან და ხანგრძლივი შრომისუუნარობის საფუძვლით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პუნქტში მითითებული შრომის კოდექსის მუხლი.
ინდიკატორი N3.1.2.6	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , დასაქმებულების წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და წახალისების ფორმების გამოყენების შემთხვევაში განახორციელოს მათი დოკუმენტირება შინაგანაწესით დადგენილი წესით.
ინდიკატორი N3.2.1.1	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , სტრატეგიული განვითარების და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში ასევე გაითვალისწინოს მასწავლებლების გარდა სხვა თანამშრომლების პროფესიული განვითარებაზე ზრუნვაც.
ინდიკატორი N3.2.1.5	წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , შეიმუშაოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით ინიციატივის დაყენების და მასზე რეაგირების მარეგულირებელი შიდა წესები.

ინდიკატორი N3.3.1.3	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , დისციპლინური კომისია დააკომპლექტოს წინასწარ და არა კონკრეტული პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში, იმისათვის, რომ დაცული იყოს კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის გამჭვირვალობა და ობიექტურობა.
ინდიკატორი N3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , სკოლაში დაასაქმოს ფსიქოლოგი, იმისათვის, რომ უზრუნველყოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში დაწესებულების მიერვე განსაზღვრული აქტივობის/ამოცანის შესრულება.
ინდიკატორი N3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> : 1. ზრუნველყოს მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი წყლით უზრუნველსაყოფად საჭირო წყლის რეზერვუარების არსებობა იმ შემთხვევისთვის, თუკი საჭირო გახდება წყლით მომარაგება წყლის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში. 2. უზრუნველყოს როგორც გოგონების, ასევე ვაჟების საპირფარეშოებზე შესაბამისი ნიშანდობა.
ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , დანიშნოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები შესაბამისობაში მოიყვანოს კანონთან და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე თანხმობები მოიპოვოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , სკოლის შიდა აზომვითი ნახაზები შესაბამისობაში მოიყვანოს ფაქტობრივ მდგომარეობასთან.

	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , სკოლა აღჭურვოს რესურს ოთახის მოსაწყობად საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით, იმისათვის, რომ შექმნას მზაობა სსსმ მოსწავლის მისაღებად.
ინდიკატორი N3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , საქმისწარმოების წესის დოკუმენტში ნახსენები საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელი პირის პოზიციის თაობაზე ჩანაწერი შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის სტრუქტურასა და სამუშაო აღწერილობებში არსებული პოზიციებიდან ერთ-ერთთან - საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან, HR მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერთან.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , მოსწავლეებისთვის ტელეფონების ჩამორთმევის საკითხი დაარეგულიროს იმგვარად, რომ არასასწავლო მიზნით ტელეფონის გამოყენების უფლება შეზღუდოს სასწავლო პროცესის განმავლობაში.
ინდიკატორი N4.1.1.2	მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> უზრუნველყოს მოსწავლეების და მშობლების უფრო მეტად ინფორმირება მოქმედი სასკოლო რეგულაციების შესახებ და აღნიშნული რეგულაციები განათავსოს საჯაროდ, სკოლის საინფორმაციო დაფასა და ვებ-გვერდზე.
ინდიკატორი N4.1.2.1	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , შიდა მარეგულირებელი რომელიმე დოკუმენტში ასახოს მოსწავლის უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურა და ჩარიცხვის წესიც, რათა მეტად მკაფიო და გამჭვირვალე იყოს მოსწავლის უფლებების დაცვის მექანიზმები.

	კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	
ინდიკატორი N4.1.2.2	სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> გამოცემულ ბრძანებებში მიუთითოს შესაბამისი კონკრეტული საკანონმდებლო ან/და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციით განსაზღვრული საფუძვლები. ასევე, მოსწავლეთა პირველ კლასში განსხვავებულ ვადებში ჩარიცხვის ბრძანებებში ასახოს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობა.
ინდიკატორი N4.2.1.1	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;	<u>სკოლას მიეცა რჩევა:</u> 1. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მარეგულირებელ დოკუმენტში დააკონკრეტოს თუ რომელ მოადგილეს ევალება ადაპტაციის მექანიზმის დაცვის კონტროლი. 2. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მარეგულირებელ დოკუმენტში ასახოს ასახოს სასწავლო პროცესის განმავლობაში, ადაპტაციის პრობლემის გამოვლენის და მიზეზის დადგენის გზები ნებისმიერ მოსწავლესთან მიმართებით, განსაზღვროს აღნიშნულ პროცესში ჩართული მხარეები და ადაპტაციის განხორციელების პროცედურა.
ინდიკატორი N4.2.1.6	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , მოსწავლეებში ჩატარებულ საჭიროებების კვლევას არ ჰქონდეს ერთჯერადი ხასიათი, კვლევა განახორციელოს სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, დანერგოს როგორც სისტემატური ხასიათის ღონისძიება, გამოკითხვა ასევე ჩაატაროს მშობლებში/კანონიერ წარმომადგენლებში მათი აზრის გამოსაკვლევად და შედეგების ანალიზი გამოიყენოს მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორი N4.2.2.2	სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შესახებ ინფორმაცია გახადოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი, მიაწოდოს კლასების დამრიგებლებს და მოსწავლეებს. ასევე, განსაზღვროს მომსახურების განხორციელებაში

	განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;	ჩართული პასუხისმგებელი პირები და შეიმუშაოს მომსახურების კონკრეტული გეგმა/განრიგი.
ინდიკატორი N4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , მიმდინარე წლიდან განახორციელოს მიწოდებული სერვისის შეფასება და შედეგები გაითვალისწინოს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორი N4.2.3.1	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , სსსმ მუშაობის მექანიზმში (სსგ-ში ან ცალკე დოკუმენტში) უფრო დეტალურად ასახოს სპეციალური საგანმანათლებლოს საჭიროებების დადგენის საფუძვლები, პროცედურები, ვადები, მშობლის უფლებამოსილება, სტატუსის მიმნიჭებელი უფლებამოსილი ერთეულები იმისათვის, რომ დაინტერესებული მშობლისთვის წინასწარ და სრულყოფილად იყოს ცნობილი აღნიშნული მექანიზმების არსებობა.
ინდიკატორი N4.2.3.2	სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.	<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> , უზრუნველყოს ფსიქოლოგიის დასაქმება, იმისათვის, რომ შექმნას მზაობა საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ფსიქოლოგიის მომსახურების გაწევაზე. ასევე, სამუშაო აღწერილობების დოკუმენტში, ფსიქოლოგიის ფუნქციებში ასახოს სსსმ მოსწავლესთან გასაწევი სამუშაო.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია აწარმოონ კონკრეტული კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებს.

		სასურველია კურიკულუმები გაამდიდრონ მრავალფეროვანი რესურსებით.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	კომპიუტერული ტექნოლოგიები: მასწავლებელი ვერ საუბრობს იმ სასწავლო რესურსებზე რომელიც არის მითითებული სკოლის მიერ გადმოგზავნილ კურიკულუმში, მაგ. <i>School.emis.ge</i> სასურველია მასწავლებელი გაეცნოს აღნიშნულ რესურსს და გამოიყენოს სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	სახელმწიფო ენა: სასურველია, სკოლამ კურიკულუმში შეიტანოს მხოლოდ ის დავალებები, რომლის რეალურად განხორციელებასაც შეძლებს. კომპიუტერული ტექნოლოგიები: სკოლას მიეცეს რჩევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმოს გადმოგზავნილი კურიკულუმის შესაბამისად.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სახელმწიფო ენა: სასურველია, სკოლამ სახელმწიფო ენის საგნის ფარგლებში შეფასების სისტემა მოარგოს კონკრეტულ თემებსა და დავალებებს. ამ ეტაპზე წარმოდგენილი შეფასების ნიმუშები ატარებს ზოგად ხასიათს და საჭიროებს განახლებას.
ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	კომპიუტერული ტექნოლოგიები: სკოლას მიეცეს რჩევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმოს განახლებული საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად და სასწავლო პროცესში გამოიყენოს განახლებული კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი

ინდიკატორი N2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით: სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, სასურველია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს რომელ მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით მოხდება შეფასება.
ინდიკატორი N2.3.2.2	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით: სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. სასურველია მეთოდოლოგიაში ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება.
ინდიკატორი N2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით: სასურველია მეთოდოლოგიაში ჩანდეს მრავალმხრივი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება შეფასება. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება და სხვ. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტიურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავედროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.

<i>სტანდარტი N2</i>	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	<i>რჩევა</i>
<i>ინდიკატორი N2.1.2.1</i>	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხო ენები: <i>სასურველია საგნობრივი კურიკულუმები მეტად ორიენტირდეს შემოქმედებითი ბუნების დავალებებზე.</i>
<i>ინდიკატორი N2.1.2.2</i>	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უცხო ენები: <i>სასურველია საგნობრივი კურიკულუმები მეტად ორიენტირდეს შემოქმედებითი ბუნების დავალებებზე.</i>
<i>ინდიკატორი N2.1.2.5</i>	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	უცხო ენები: <i>მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში უმჯობესია მკაფიოდ იყოს ნაჩვენები საფეხურის ყველა სამიზნე ცნება, რაც სრულად აღწერს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით</i>
<i>ინდიკატორი N2.2.1.1</i>	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	სახელმწიფო ენა: <i>სასურველია, სკოლამ კურიკულუმში შეიტანოს მხოლოდ ის დავალებები, რომლის რეალურად განხორციელებასაც შეძლებს.</i>
<i>ინდიკატორი N2.2.1.3</i>	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სახელმწიფო ენა: <i>სასურველია, სკოლამ სახელმწიფო ენის საგნის ფარგლებში შეფასების სისტემა მოარგოს კონკრეტულ თემებსა და დავალებებს. ამ ეტაპზე</i>

		წარმოდგენილი შეფასების ნიმუშები ატარებს ზოგად ხასიათს და საჭიროებს განახლებას.
ინდიკატორი N2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით: სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, სასურველია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს რომელ მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით მოხდება შეფასება.
ინდიკატორი N2.3.2.2	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით: სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. სასურველია მეთოდოლოგიაში ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება.
ინდიკატორი N2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით: სასურველია მეთოდოლოგიაში ჩანდეს მრავალმხრივი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება შეფასება. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება და სხვ. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ

		მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხო ენები: სასურველია საგნობრივი კურიკულუმები მეტად ორიენტირდეს შემოქმედებითი ბუნების დავალებებზე.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უცხო ენები: სასურველია საგნობრივი კურიკულუმები მეტად ორიენტირდეს შემოქმედებითი ბუნების დავალებებზე.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	უცხო ენები: მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში უმჯობესია მკაფიოდ იყოს ნაჩვენები საფეხურის ყველა სამიზნე ცნება, რაც სრულად აღწერს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	სახელმწიფო ენა: სასურველია, სკოლამ კურიკულუმში შეიტანოს მხოლოდ ის დავალებები, რომლის რეალურად განხორციელებასაც შეძლებს.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სახელმწიფო ენა: სასურველია, სკოლამ სახელმწიფო ენის საგნის ფარგლებში შეფასების სისტემა მოარგოს კონკრეტულ თემებსა და დავალებებს. ამ ეტაპზე

		წარმოდგენილი შეფასების ნიმუშები ატარებს ზოგად ხასიათს და საჭიროებს განახლებას.
ინდიკატორი N2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით: სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, სასურველია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს რომელ მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით მოხდება შეფასება.
ინდიკატორი N2.3.2.2	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით: სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. სასურველია მეთოდოლოგიაში ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება.
ინდიკატორი N2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით: სასურველია მეთოდოლოგიაში ჩანდეს მრავალმხრივი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება შეფასება. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება და სხვ. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ

		მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.
--	--	---

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

ადმინისტრაციის ფარგლებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი და ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ ინფორმაცია. შედეგად დადგინდა შემდეგი:

რეკომენდაციები

ქვესტანდარტი 2.1.ა. - სკოლას მიეცა რეკომენდაცია, პირველ სართულზე საწყობად გამოყენებული საკლასო ოთახებიდან გატანილ იქნას ნარჩენი მასალა, მერხების, სკამებისა და სხვა სამეურნეო ინვენტარის კონსტრუქციები, რათა დაცული იქნას ჰიგიენურ-სანიტარული ნორმები და უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა უსაფრთხოება;

შესრულების სტატუსი: არ შესრულდა; პირველ სართულზე საწყობად გამოყენებული საკლასო ოთახებში კვლავ ფიქსირდება ნარჩენი მასალა, საღებავები, გაზის ბალონები და სხვა სასწავლო თუ სამეურნეო ინვენტარის კონსტრუქციები.

ქვესტანდარტი 2.5 - სკოლის ვებ გვერდია <https://retsa.edupage.org/> რომელიც შედგება შემდეგი განყოფილებებისგან: მთავარი გვერდი, სიახლეები, სკოლის შესახებ, მოსწავლეები და მშობლები, კონაქტი. განყოფილებებიდან მხოლოდ კონტაქტის ნაწილშია შეტანილი ინფორმაცია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოდ სკოლის ვებ გვერდის განყოფილებების შესაბამისი ინფორმაციით შევსება;

შესრულების სტატუსი: არ შესრულდა; სკოლის ვებ-გვერდზე არ არის შეტანილი განყოფილებების და მოქმედი სტანდარტების შესაბამისი ინფორმაცია.

შენიშვნა: მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა.

ქვესტანდარტი 2.6.ა. - სკოლამ წარმოადგინა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქცია. გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში აღწერილი პროცედურა ზოგადია, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ითანამშრომლონ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქვემო ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოსთან, რათა შემუშავდეს სკოლის საჭიროებაზე მორგებული ინსტრუქცია;

შესრულების სტატუსი: არ შესრულდა; სკოლას არ აქვს უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

ქვესტანდარტი 2.6.ბ. სკოლის შენობის ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომლებზეც დაწესებულების ბეჭედი დასმული. გარდა ამისა, პირველი სართულის საევაკუაციო გეგმა არ ემთხვევა შენობის შიდა სივრცეს (კიბის მეორე უჯრედი არ არის დატანილი). სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ითანამშრომლონ უფლებამოსილ ორგანიზაციასთან ან შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქვემო ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოსთან, რათა შედგეს სწორი საევაკუაციო გეგმები;

აღნიშნული ქვესტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები ამჟამად მოქმედი სტანდარტის მიხედვით მიეკუთვნება 3.4.1.1 ინდიკატორს, რომელიც განსაზღვრავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე სკოლის მიმართვას, მიმართვის საფუძველზე კი უნდა მოხდეს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მომზადება.

სკოლის დაკვეთით ამჟამად შენობაში გამოკრული საევაკუაციო გეგმები შედგენილია შპს „ჯეო სეიფთის“ მიერ და დამოწმებულია აღნიშნული კომპანიის ბეჭდით.

სკოლასა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება აღნიშნული დასკვნის მომზადების თაობაზე, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საევაკუაციო გეგმების სისწორის შემოწმება და დასკვნაში ასახვა.

ქვესტანდარტი 2.6.გ. - სამედიცინო დახმარების ოთხაში არ დგას პაციენტთა პირადი გასინჯვისთვის გამოსაყენებელი ტიხრული შირმა და საკაცე. არ არის ხელსაბანი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლის სამედიცინო კაბინეტი შესაბამისობაში მოვიდეს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მოთხოვნებთან და შემუშავდეს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა; კერძოდ, სამედიცინო კაბინეტში დამონტაჟებულია ხელსაბანი ნიჟარა და უზრუნველყოფილია წყლის მიწოდება.

შენიშვნა: მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა.

ქვესტანდარტი 2.6.დ. - სკოლას არ აქვს შემუშავებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისი დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს აღნიშნული დოკუმენტი და შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან;

შესრულების სტატუსი: არ შესრულდა; სკოლამ წარმოდგინა შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომელიც არ არის შეთანხმებულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.

ქვესტანდარტი 2.7.

- სკოლას მიეცა რეკომენდაცია შინაგანაწესი მოსულიყო შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან მოსწავლის სასკოლო ასაკის მიღწევის პერიოდის დაკონკრეტების, შეფასებისა და საგნის დამლევის, სკოლიდან გარიცხვის საფეხურის დაკონკრეტების, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის სახეების, შესაბამისი სანქციების და პროცედურების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი: შესრულდა. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და სასკოლო რეგულაციებთან.

- სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ბიბლიოთეკის დებულებით განსაზღვრული იყოს მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პირთა მომსახურება (მოიცავდა პროფესიული სასწავლებლის სტუდენტის მომსახურებასაც).

შესრულების სტატუსი: შესრულდა. სკოლამ წარმოდგინა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობას.

ქვესტანდარტი 2.9.

- სკოლას მიეცა რეკომენდაცია საქმისწარმოების ინსტრუქციაში დაკონკრეტდეს დოკუმენტის ფორმატი (ბეჭდური ან ხელნაწერი);

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი: შესრულდა. საქმისწარმოების ინსტრუქციით განისაზღვრა, რომ მოძრავი დოკუმენტის ფორმატი არის ბეჭდური.

- ბეჭდურ ან ხელნაწერ შემთხვევებში გათვალისწინებულ იქნას „ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსით“ გათვალისწინებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების რეკვიზიტები (მაგ.: საფუძველი/შესაბამისობა, გასაჩივრების ნაწილი) (მუხლი 52, პირველი და მე - 2 პუნქტი).

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა. სკოლის ბრძანებების ნაწილში არ არის მითითებული ბრძანების გამოცემის საფუძვლები.

ქვესტანდარტი 3.2.

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი“ და სკოლის მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად არ ხორციელდება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, იმოქმედოდ აღნიშნული წესის შესაბამისად;

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი: არ შესრულდა. მასწავლებლის ვაკანტური საათების შევსება სრულყოფილად არ ხორციელდება კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად, კერძოდ საკონკურსო კომისიის დაკომპლექტებისა და საკონკურსო პირობების განსაზღვრის ნაწილში.

- სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი ცნობები: ნასამართლეობის შესახებ; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, თანამშრომლებმა წარმოადგინონ ზემოთ დასახელებული დოკუმენტები;

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი: არ შესრულდა. სკოლის თანამშრომლების ნაწილს არ აქვს წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო ნასამართლეობის ცნობები.

- მასწავლებელთან დადებულ ხელშეკრულებებში არ ფიქსირდება სტატუსი, მიუხედავად მათი სტატუსისა არ არის განსხვავება მათ ვალდებულებებში. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მასწავლებლებთან გაფორმდეს სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები;

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი: არ შესრულდა. უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულებები გაფორმებულია შესაბამისი სტატუსების მიხედვით, თუმცა გასულია მოქმედების ვადები. სკოლას ასევე გაფორმებული აქვს მასწავლებლობის მადიებლობის ხელშეკრულებები ისეთი პირებისთვის, რომლებსაც არ აქვს მასწავლებლობის მადიებლობის სტატუსი.

ქვესტანდარტი 3.3. - სკოლის შინაგანაწესში გაწერილი მუშაკის სამუშაოზე მიღების წესები „მუხლი 5. მუშაკის სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის წესი“, თუმცა არ არის განმარტებული თანამშრომლის მიღების ეტაპები, კონკურსის ჩატარების წესი, ვაკანსიის შესახებ განცხადების გავრცელების/გამოქვეყნების წესი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს თანამშრომლის მიღების ეტაპები, კონკურსის ჩატარებისა და კონკურსის გამოცხადების წესი.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა. სკოლის შინაგანაწესის მე-7 მუხლში ასახულია მასწავლებლის მიღების ეტაპები, კონკურსის ჩატარების წესი, ვაკანსიის შესახებ განცხადების გავრცელების/გამოქვეყნების წესი, თუმცა არ არის ასახულია მასწავლებლის გარდა სხვა თანამშრომლის ვაკანტური ადგილის შევსებისას კონკურსის ჩატარების პროცედურები.

ხარვეზი

ქვესტანდარტი 3.4. - მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებს ავტორიზაციის ვიზიტისას მოქმედების ვადა ჰქონდათ დასრულებული;

შესრულების სტატუსი: არ არის შესრულებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების უმრავლესობის მოქმედების ვადები გასული იყო განხორციელებული მონიტორინგის პროცესშიც.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში და სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სკოლის მისია და ხედვა. სკოლის მისიაში გაცხადებულია, რომ აღზარდოს მორალურად და ზნეობრივად ჯანსაღი, ინტელექტუალურად განვითარებული, თავისუფლად მოაზროვნე, პატრიოტული სულისკვეთების მქონე ახალგაზრდები. სკოლის ხედვის თანახმად კი „სკოლის ყველა თანამშრომელი ზრუნავს ბავშვის, როგორც საგნობრივი კომპეტენციის უზრუნველყოფას ასევე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარჩვევებითა და სოციალურად სწორი ორიენტაციით აღჭურვას.“

აღსანიშნავია, რომ სკოლის მისიაში და ხედვაში პიროვნულ განვითარებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზეა აქცენტი გაკეთებული, რომლებიც გამომდინარეობენ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან და არ ეწინააღმდეგებიან მას. მნიშვნელოვანია, რომ ხედვა უნდა იყოს იმგვარის შინაარსის, რომ მასზე დაყრდნობით შესაძლებელი იყოს სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

სკოლას მიეცა რჩევა, მისია და ხედვა იყოს მეტად გასაგებად ფორმულირებული, ხაზს უსვამდეს სკოლის მისწრაფებებს და ნათლად და მკაფიოდ განსაზღვრავდეს დროის გარკვეულ მონაკვეთში როგორ ხედავს საკუთარ განვითარებას, რა ეტაპზეა ხედვის ჩამოყალიბების დროს და რისი მიღწევა სურს.

შენიშვნა: სკოლამ გაიზიარა რჩევა და ხედვის ფორმულირება ჩამოაყალიბა ნათლად და მკაფიოდ, განსაზღვრა რის მიღწევა სურს და ასახა დროის მონაკვეთი ხედვის რეალიზებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლის მისიასა და ხედვაში ძირითადად აქცენტი გაკეთებული იყო მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე, იმაზე რომ სკოლა მისიად ისახავს აღზარდოს პატრიოტული სულისკვეთების მქონე მოქალაქეები, მოამზადოს ისინი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და სოციალურად სწორი ორიენტაციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მისიითა და ხედვით სკოლა პრიორიტეტად ისახავდა შეექმნა სივრცე, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე და მათი უნარ-ჩვევების დახვეწაზე, მისიასა და ხედვაშიაქცენტი არ იყო გაკეთებული მათ მისაღწევად უსაფრთხო გარემოს შექმნის მნიშვნელობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნა, რომ ერთი მხრივ, სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი - შექმნას სივრცე, სადაც ყველა ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე, თუმცა, მეორე მხრივ, სკოლის მიერ გაცხადებულ მისიასა და ხედვაში პრიორიტეტად არ იკვეთებოდა უსაფრთხო სოციო-კულტურული სივრცის უზრუნველყოფა.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სკოლის განახლებული ფილოსოფია და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ სკოლის მიერ გაცხადებულ მისიასა და ხედვაში პრიორიტეტად იკვეთება უსაფრთხო სოციო-კულტურული სივრცის უზრუნველყოფა. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-06.12.2024 პერიოდი, ხოლო შენიშვნის გრაფაში, შესრულების სტატუსად განსაზღვრა „დასრულებული“.

სკოლის განახლებული ხედვის და მისიის ფორმულირებაში ერთიანობაში იკვეთება სკოლის როლი უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის კონტექსტში. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება“.

სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბების/რევიზიისას უსაფრთხო სოციო-კულტურული სივრცის არსებობა პრიორიტეტად გამოკვეთოს როგორც სკოლის ხედვაში, ასევე მისიაშიც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი სახელწოდებით „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დადგენილი არ იყო თუ რა ეტაპებითა და წესებით უნდა განხორციელებულიყო სკოლაში ფილოსოფიის შემუშავება. დოკუმენტში აღწერილი იყო, რომ ფილოსოფიის შემუშავება

განხორციელდა სამუშაო ჯგუფის ფორმატში, განხორციელდა საჭიროებების შეფასება (SWOT ანალიზი) სამუშაო ჯგუფის მიერ, გაიმართა სამუშაო შეხვედრები, ჩატარდა ონლაინ შეხვედრები სასკოლო საზოგადოებასთან, რის შემდეგაც სკოლის სტარტეგიულ დოკუმენტებში გათვალისწინებულ იქნა მათი უკუკავშირი.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილი შემუშავების პროცედურის შესაბამისი მასალები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ არსებული ხედვა და მისია შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობით და მოსაზრებების გათვალისწინებით.

სკოლაში განხორციელებული ინტერვიუების ეტაპზე, სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მხოლოდ დირექციის/ადმინისტრაციის ჩართულობით განხორციელდა მისიისა და ხედვის გადახედვის პროცესი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სასკოლო საზოგადოება არ მოიცავს მხოლოდ სკოლის დირექცია/ადმინისტრაციას ან/და თანამშრომლებს, სასკოლო საზოგადოების წევრები არიან, ასევე, მოსწავლეები და მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, რომლებმაც, ინტერვიუების ფარგლებში, ვერ გაიხსენეს ფაქტი, რომ მონაწილეობა მიიღეს სკოლის ფილოსოფიის შემუშავების/გადახედვის პროცესში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლის ფილოსოფიის გადახედვა/შემუშავება არ განხორციელებულა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლას უნდა უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მათი შეხედულებებისა და ინტერესების გათვალისწინებით ფილოსოფიის ფორმირება, კერძოდ, დირექციის/ადმინისტრაციის გარდა პროცესში უნდა ჩართულიყო თანამშრომელი, მოსწავლე, მშობელი, რომლებიც შეძლებდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების დაფიქსირებას. საბოლოოდ, აღნიშნული პროცესი შესაძლებელს გახდიდა მისია, ხედვა და ღირებულებები ჩაოყალიბებულიყო სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აზრის გათვალისწინებით.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, სამუშაო ჯგუფის ოქმი და განახლებული სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტი. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ სკოლის ფილოსოფიის გადახედვა/შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აზრის გათვალისწინებით. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-06.12.2024 პერიოდი, ხოლო შენიშვნის გრაფაში, შესრულების სტატუსად განსაზღვრა „დასრულებული“.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის ადმინისტრაციამ, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ უზრუნველყო სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება სასკოლო საზოგადოების წევრების წარმომადგენლობით, განხორციელებული სამუშაო ასახა ჯგუფის ოქმში და განხორციელდა ცვლილებების შეტანა სკოლის ფილოსოფიაში. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის” თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის საშუალებით სკოლა უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს სკოლის ხედვას, მისიას და ღირებულებებს, მიზნებს/ამოცანებსა და მათი მიღწევის გზებს. ასევე, წინამდებარე დოკუმენტში ნათქვამია, რომ არსებული ხედვა და მისია გადაიხედა სკოლის თანამშრომელთა მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის პროექტის დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის მიზნით, ჩატარდა ონლაინ შეხვედრები სასკოლო საზოგადოებასთან.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელითაც დაადასტურებდა საბოლოოდ ფორმულირებული სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობის/გაზიარების ფაქტს/პროცესს. სკოლის ფილოსოფია განთავსებული იყო სკოლის ვებგვერდზე, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ინტერვიუების დროს მოსწავლეებმა და მშობლებმა ვერ გაიხსენეს კონკრეტულად მათი სკოლის მისია ან/და მისიის შინაარსი. ისინი საუბრობდნენ, მხოლოდ, ზოგადად სკოლის არსზე და იმაზე თუ რა ვალდებულებები გააჩნიათ სკოლებს კარგი მოქალაქის აღზრდის საქმეში, რაც ნებისმიერ სკოლის ვალდებულებაა და არა კონკრეტული მისია ან ხედვა.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა, სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა თუ გადახედვის ვერცერთ ეტაპზე. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის ფილოსოფიის გაზიარება განხორციელდეს შემუშავების ეტაპიდანვე, რათა მიღწეული იყოს გაზიარების მიზანი. სკოლამ გაზიარებისთვის უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს გაზიარება და მაქსიმალური ხელმისაწვდომობა.

შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლის ფილოსოფია არ იყო სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული შემუშავების არცერთ ეტაპზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, სამუშაო ჯგუფის ოქმი და განახლებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტი. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ სკოლის ფილოსოფიის გადახედვა/შემუშავება განხორციელა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და ფილოსოფია არის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული. სკოლამ თავისი სოციალური და ვებ გვერდი გამოიყენა გაზიარების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული დოკუმენტი, ასევე, გამოიკრა სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილზე.

სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-06.12.2024 პერიოდი, ხოლო შენიშვნის გრაფაში, შესრულების სტატუსად მიუთითა „დასრულებული“.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის ადმინისტრაციამ, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ უზრუნველყო სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება და სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ გაზიარება ფილოსოფიის რევიზიის მთელი პროცესის განმავლობაში, რევიზიის დაწყებიდან საბოლოო სახით ფორმულირებული ფილოსოფიის მიღების ჩათვლით. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში, სკოლამ, ასევე, განსაზღვრა გაზიარების მექანიზმები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლას შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ აქვს განთავსებული სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - <https://retsa.edupage.org/>. შესაბამისად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სკოლის ფილოსოფიას. სკოლის მიერ წარმოდგენილი „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის საშუალებით სკოლა უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს სკოლის ხედვას, მისიას და ღირებულებებს, მიზნებს/ამოცანებსა და მათი მიღწევის გზებს.

სკოლას მიეცა რჩევა, მეტი ხელმისაწვდომობისათვის, თვალსაჩინო ადგილას, სკოლის შენობაში/საინფორმაციო დაფაზე გამოაკრას შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები, ასევე, ვებ-გვერდზე განათავსოს უფრო თვალსაჩინო განყოფილებაში.

შენიშვნა: სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა სკოლის ფილოსოფიის თვალსაჩინოდ გაზიარებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერებიდან დგინდება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სახელწოდება: ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ადგილზე განხორციელებული ინტერვიუები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი სახელწოდებით - „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“. წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავდა თუ რა პროცედურებით განხორციელდა სკოლაში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, SWOT ანალიზის შემუშავება, აღწერდა სკოლის ისტორიას, ახდენდა არსებული სიტუაციის ანალიზს, მასში ჩაშენებული იყო სკოლის ფილოსოფია, სტრატეგიული მიმართულებები, თითოეულ მიმართულებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შეფასებები, რისკები, ამოცანები და ქვეამოცანები, ბოლოს, კი მონიტორინგის წესი.

დოკუმენტი აღწერდა კონკრეტულ შემთხვევაში, ერთჯერადად როგორ და რა პროცედურებით განხორციელდა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვა. მასში წერია, რომ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სკოლის სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით. ჯგუფმა მოამზადა საჭიროებების შეფასება (SWOT ანალიზი), გაიმართა სამუშაო შეხვედრები, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის პროექტის დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის მიზნით, ჩატარდა ონლაინ შეხვედრები სასკოლო საზოგადოებასთან. ხოლო, ჩატარებული შეხვედრების დასრულების შემდეგ სკოლის სტრატეგიულ დოკუმენტებში გათვალისწინებულ იქნა მათი უკუკავშირი.

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტი, თავისი შინაარსით არ იყო მეთოდოლოგიური ხასიათის და მრავალჯერადი გამოყენების, მასში არ იყო განსაზღვრული სკოლა ზოგადად რა ეტაპებს ადგენდა სტრატეგიული დაგეგმვისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის. ასევე, დოკუმენტი არ ასახავდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების ზოგად მიდგომებს, მოთხოვნებსა და მომავალში განსახორციელებელ სამუშაო პროცესებს.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, რომ სკოლას არ ჰქონდა სტრატეგიული დადგენილების ისეთი მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნებოდა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და განახლებული სტრატეგიული დადგენილების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. სკოლამ ხარვეზის

აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-27.12.2024 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში მიუთითა „მეტწილი“. თუმცა, ამავე დროს, შენიშვნის გრაფაში, შესრულების სტატუსად მიუთითა „დასრულებული“.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით დასტურდება სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინების მექანიზმების არსებობა. კერძოდ, სკოლის ფილოსოფიასა და სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმებზე მუშაობა სამუშაო ჯგუფის ფორმატში, სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევა, მათთან გაზიარების მექანიზმები და უკუკავშირის გათვალისწინება. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე წარმოდგენილ „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში ჩაშენებული იყო სტრატეგიული მიმართულებები, თითოეულ მიმართულებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შეფასებები, რისკები, ამოცანები და ქვეამოცანები. აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგიაში თავდაპირველად გამოყოფილი სტრატეგიული მიმართულებების და შემდგომ დეტალურად განხილული თითოეული მათგანის დასახელება არ იყო ერთმანეთთან შესაბამისი. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლამ წარმოადგინა ცალკე არსებული დოკუმენტი 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით და მოიცავდა აქტივობებს, განხორციელების პერიოდსა და პასუხისმგებელ პირს/სტრუქტურულ ერთეულს. „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში ჩაშენებული სტრატეგიული მიმართულებები და 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმის „აქტივობები“ თავისი შინაარსით შესაბამისობაში იყო სკოლის ფილოსოფიასთან, თუმცა 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა არ შეიცავდა სტრატეგიულ მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. შესაბამისად, ბუნდოვანი იყო თავად სკოლა სტრატეგიული გეგმაში ასახულ რომელ კონკრეტულ „აქტივობას“ მოიაზრებდა ამოცანად და რომელ კონკრეტულ სტრატეგიულ მიზანთან მიმართებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საყურადღებოა, რომ სკოლის წესდების მე-5 მუხლის 5.7. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია განიხილოს და დაამტკიცოს სკოლის განვითარების ერთწლიანი და მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმა. შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის დამტკიცება პედაგოგიური საბჭოს პრეროგატივაა, სკოლის მხრიდან კი პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება სტრატეგიული გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი არ იქნა. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული იყო დირექტორის ბრძანებით. აქედან გამომდინარე, სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-27.12.2024 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც „მეტწილი“.

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ აქტიურად მიმდინარეობს „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის რედაქტირება სტრატეგიულ მიზნებისა და მიზნების შესაბამისი ამოცანების გათვალისწინებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოადგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც 2024-2025 სასწავლო წელზე გაწერილია სკოლის ამოცანები.

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი ამოცანები არ მიემართება არც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღწერილ სტრატეგიულ მიზნებს და არც ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილ აქტივობებს. კერძოდ, **სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმის ურთიერთმიმართებაში განხილვისას მკაფიოდ ვერ დგინდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის კონკრეტული აქტივობა სტრატეგიული გეგმის რომელ ამოცანას და მიზანს მიემართება. ზემოთ ხსენებული ორი დოკუმენტი არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან.**

გარდა ამისა, სკოლის წესდების მე-5 მუხლის 5.7. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, **სკოლის პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია განიხილოს და დამტკიცოს სკოლის განვითარების ერთწლიანი და მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმა.** შესაბამისად, ერთწლიანი განვითარების გეგმის დამტკიცება პედაგოგიური საბჭოს პრეროგატივაა, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება ერთწლიანი განვითარების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით კი სკოლას არ წარმოუდგენია. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. აქედან გამომდინარე, **ერთწლიანი განვითარების გეგმა დამტკიცებულია არა უფლებამოსილი პირის მიერ.**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-27.12.2024 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც „მეტწილი“.

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ აქტიურად მიმდინარეობს სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმის ურთიერთმიმართებაში მოყვანაზე, სადაც მკაფიოდ განისაზღვრება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის კონკრეტული ამოცანის შესაბამისობა სტრატეგიული გეგმის მიზანთან. ერთწლიანი განვითარების გეგმა კი დამტკიცდება უფლებამოსილი პირის მიერ.

სამოქმედო გეგმაში განისაზღვრება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მხოლოდ ამოცანები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები.

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული არ არის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-27.12.2024 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც „მეტწილი“.

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ აქტიურად მიმდინარეობს სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმის ურთიერთმიმართებაში მოყვანაზე, სადაც მკაფიოდ განისაზღვრება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის კონკრეტული ამოცანის შესაბამისობა სტრატეგიული გეგმის მიზანთან. სამოქმედო გეგმაში განისაზღვრება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის წესდება;
- ადმინისტრაციასთან განხორციელებული ინტერვიუები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ:

- სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გადახედვა ხდება ყოველწლიურად. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მონიტორინგისა და შეფასების შედეგად დამდგარი გარემოებების შესაბამისად, სკოლის ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის, მოსწავლეების, სოციალური პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით;
- დაგეგმილი აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები 6 თვეში ერთხელ წარადგენენ შუალედურ ანგარიშების, რომლის შესაბამისად შეიძლება დაიგეგმოს და/ან მცისიერად განხორციელდეს საჭირო ცვლილებები არსებითი ზიანის დადგომამდე;
- სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებაზე დაკვირვების და მონიტორინგის შედეგად შეგროვებული მონაცემების გაანალიზება ხდება წლის ბოლოს, სკოლის სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ, რომლებიც თავის მხრივ აფასებენ დაგეგმილი ამოცანების შესრულების ხარისხს, ახდენენ სრულად ან ნაწილობრივ განხორციელებული თუ განუხორციელებელ აქტივობების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირების და გაუმჯობესების რეკომენდაციებს და წარუდგენენ დირექტორს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სკოლაში სტრატეგიული დაგეგმვის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები 6 თვეში ერთხელ წარადგენენ შუალედურ ანგარიშების. გარდა ამისა, სკოლის სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის წევრები ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ანალიზებენ მონიტორინგის შედეგებს და თავის მხრივ აფასებენ დაგეგმილი ამოცანების შესრულების ხარისხს, ადგენენ სრულად ან ნაწილობრივ განხორციელებული თუ განუხორციელებელი აქტივობების გამომწვევ მიზეზებს და რეკომენდაციებს და წარუდგენენ დირექტორს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია 2024 წლის აგვისტოში, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის თარიღისთვის არ იყო დამდგარი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების ვადა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

ვინაიდან სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი დამტკიცებულია 2024 წლის აგვისტოში, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის თარიღისთვის არ იყო დამდგარი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების ვადა და ვერ განხორციელდებოდა შედეგების გასაჯაროება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ვინაიდან სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი დამტკიცებულია 2024 წლის აგვისტოში და ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის თარიღისთვის არ იყო დამდგარი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების ვადა, შესრულების შედეგების ანალიზი სკოლას ვერ ექნებოდა განხორციელებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
 - ☐ შეესაბამება
 - ☒ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

დაწესებულების წესების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლის სტრუქტურა მოიცავს სკოლის დირექტორს, სკოლის ადმინისტრაციას და სკოლის პედაგოგიურ საბჭოს. სკოლამ წარმოადგინა გრაფიკული სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური სტრუქტურული ერთეული - პედაგოგიური საბჭო, ასევე სხვადასხვა თანამდებობრივი პოზიციების დასახელებები, რომლებზეც დასაქმებულები არიან სკოლის თანამშრომლები. სკოლამ წარმოადგინა, დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები თითოეული პოზიციის მიხედვით. აღნიშნული აღწერილობებით, სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული პირების ფუნქციები განსაზღვრულია იმგვარად, რომ არ იკვეთება ერთმანეთთან.

სკოლის პედაგოგიური საბჭოსა და დირექტორის ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის წესდებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია ამოცანებისა და აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, რომელთა საქმიანობის სფეროსთანაც თავსებადია დაკისრებული პასუხისმგებლობები.

სკოლის სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ პასუხისმგებელ ერთეულად მითითებულია ხარისხის განვითარების ჯგუფი, თუმცა ასეთი ჯგუფის ფუნქციების განსაზღვრისა და საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულება სკოლას არ წარმოუდგენია. სკოლის შინაგანაწესში, ასევე, მოხსენიებულია წესრიგის მენეჯერი, თუმცა მსგავს პოზიციას და ფუნქციებს სკოლის წესდება ან სამუშაო აღწერილობები არ შეიცავს.

სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის ვაკანტურს პოზიციებზე კონკურსების ჩატარების მიზნით შექმნილია საკონკურსო კომისია, რომლის საქმიანობის სფეროც განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით.

ცალკეულ შემთხვევებში, სკოლის დირექტორის ბრძანებით დაკისრებულია ფუნქციები, როგორცაა ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის სკოლაში ვიზიტის ეტაპზე სკოლას არ ჰქონდა განსაზღვრული ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება, როგორცაა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის/პირების მიერ უფლებამოსილების განხორციელება. ასევე, ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ დირექტორის მოადგილე ასრულებდა მძღოლის ფუნქციას, თუმცა, მასთან გაფორმებული ხელშეკრულება არ მოიცავდა მითითებებს მძღოლის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლამ, ასევე, ვერ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 24 ნოემბრის 523 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისათვის დადგენილი მოთხოვნების“ სკოლაში არსებული კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის მიზნით ჯგუფის არსებობის დოკუმენტაცია.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, რომ „სკოლაში შექმნილია შვიდი საგნობრივი კათედრა, რომელთა ფუნქციონირებაც რეგულირდება საგნობრივი კათედრების მუშაობის ზოგადი დებულებით (დანართი N2)“, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმას თან არ ეთვოდა მსგავსი დებულება. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლას არ წარმოუდგენია აღნიშნული დებულება და სასკოლო

სასწავლო გეგმის დანართები. კათედრის ოქმებში საქმიანობის განხორციელების საფუძვლებში მითითებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლები, თუმცა მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა არ შეიცავს კათედრების საქმიანობის რეგულირებას.

წესდების თანახმად, სკოლის ადმინისტრაცია შედგება დირექტორის, სასწავლო აღმზრდელობით დარგში სკოლის დირექტორის მოადგილეების, სასწავლო ნაწილის გამგის, სამეურნეო მენეჯერის და ფინანსური მენეჯერისგან. სკოლის სტრუქტურაში კი არ არის გათვალისწინებული დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში, სასწავლო ნაწილის გამგე, სამეურნეო მენეჯერი და ფინანსური მენეჯერი. სკოლის ხელშეკრულებების შესწავლითაც არ დგინდება აღნიშნული პოზიციების და მათი ფუნქციების არსებობა.

სკოლას მიეცა რჩევა, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის წესდებით განსაზღვრული სტრუქტურა, სკოლის გრაფიკული სტრუქტურა და სამუშაო აღწერილობებით დადგენილი პოზიციები.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. სკოლამ გეგმაში შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად მიუთითა, რომ უზრუნველყოფს მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრას და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მიუთითა 01.12.2024-06.12.2024 პერიოდი. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა გარკვეული დოკუმენტაცია და შენიშვნის გრაფაში, შესრულების სტატუსად მიუთითა „დასრულებული“. სკოლამ აღმოფხვრა ხარვეზები კათედრის დებულებით კათედრის ფუნქციების და დირექტორის ბრძანებით მძღოლის ფუნქციების დირექტორის მოადგილისათვის შეთავსების ნაწილში, ხოლო რაც შეეხება ინდიკატორში აღწერილ სხვა ხარვეზებს, სრულყოფილად არ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ:

- სკოლამ, წარმოადგინა საზოგადოებრივი წესრიგის და დისციპლინის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის და მისი ფუნქციების განსაზღვრის ბრძანება, თუმცა, ვინაიდან სკოლას არ გააჩნია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განსხვავებული წესი, რომელშიც, ასევე, გაწერილი და შეთანხმებული იქნება აღნიშნული უფლებამოსილი პირის ფუნქციები, სკოლაზე ვრცელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. სკოლის მიერ განსაზღვრული ფუნქციები არ არის სრულყოფილი და არ ითვალისწინებს კონკრეტული სახის საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ ხსენებული ნორმატიული აქტით. გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი ბრძანებით განსაზღვრული ფუნქციების მარეგულირებელ დანართში მოხსენიებულია სამეურვეო საბჭო, რომელიც სკოლაში არ ფუნქციონირებს.
- სკოლამ, წარმოადგინა კვების ობიექტის მონიტორინგის ჯგუფის განსაზღვრის შესახებ ბრძანება, თუმცა ჯგუფის შემადგენლობა არ არის განსაზღვრული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 24 ნოემბრის 523 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისათვის დადგენილი მოთხოვნების“ შესაბამისად, კერძოდ, შემადგენლობაში სკოლას არ ჰყავს განსაზღვრული საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მოსწავლეები.
- სკოლამ დამატებით წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს დებულება, რომელშიც მოხსენიებულია აღმასრულებელი დირექტორი, თუმცა აღნიშნულ პოზიციას არ ითვალისწინებს სკოლის წესდება, სტრუქტურა და ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი.

პედაგოგიური საბჭოს დებულებით განსაზღვრული ფუნქციები არ არის თანხვედრაში სკოლის წესდებით განსაზღვრულ პედაგოგიური საბჭოს ფუნქციებთან. სკოლას არ წარმოუდგენია შეცვლილი წესდება პედაგოგიური საბჭოს შეცვლილი ფუნქციებით.

- სკოლამ წარმოადგინა ხარისხის მართვის ჯგუფის სახელით მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა არ წარმოუდგენია ჯგუფის შექმნისა და მისი ფუნქციების განმსაზღვრელი შიდა რეგულაციები.
- სკოლას არ წარმოუდგენია სკოლის შინაგანაწესში მოხსენიებული წესრიგის მენეჯერის წესდებაში ასახვის და მისი ფუნქციების განსაზღვრის დამადასტურებელი დოკუმენტი და არც შინაგანაწესის ცვლილება აღნიშნული პოზიციის გაუქმების თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ ხარვეზები ჩათვალა აღმოფხვრილად, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზების სრულად აღმოფხვრასთან დაკავშირებით ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გამო და ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა.

დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლით და 3.1.1.1 ინდიკატორის აღწერილობიდან გამომდინარე დადგინდა, რომ **ფუნქციების და პასუხისმგებლობების გადანაწილება არ არის სრულყოფილი**. ასევე, სკოლის წესდებაში გაწერილია, რომ პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია განიხილოს სასკოლო სასწავლო გეგმა, დაამტკიცოს სკოლის შინაგანაწესი, სკოლის ერთწლიანი და მრავალწლიანი სამოქმედო გეგმები, თუმცა სკოლის დოკუმენტაციაზე მითითებულია, რომ დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლის საგნობრივი კათედრების 2024 წლის 9-10-11 სექტემბრის ოქმებით არჩეულია საგნობრივი კათედრის თავმჯდომარე და მდივანი, თუმცა კათედრების თავმჯდომარეების არჩევის საკითხი, ასევე, განხილულია პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 06 სექტემბრის ოქმში. კათედრების თავმჯდომარეების არჩევა სკოლის წესდების თანახმად წარმოადგენს პედაგოგიური საბჭოს პრეროგატივას. წარმოდგენილ კათედრის ოქმებში განხილულია კურიკულუმების შემუშავების საკითხი 2024 წლის 9-10-11 სექტემბერს, თუმცა, სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის საგნობრივი პროგრამები, კურიკულუმების გარეშე განხილულია უფრო ადრე, პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 06 სექტემბრის სხდომაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. სკოლამ გეგმაში შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად მიუთითა, რომ უზრუნველყოფს მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების და პასუხისმგებლობების მიზნობრივად გადანაწილებას და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-06.12.2024 პერიოდი. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა გარკვეული დოკუმენტაცია და შენიშვნის გრაფაში შესრულების სტატუსად მიუთითა „დასრულებული“.

სკოლამ წარმოადგინა კათედრის და პედაგოგიური საბჭოს დებულებები, რომლებშიც გაწერილია აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები და თავმჯდომარეების განსაზღვრის წესი, თუმცა, სკოლას არ წარმოუდგენია შეცვლილი წესდების დოკუმენტი. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტები წინააღმდეგობაში მოდის სკოლის წესდებასთან უფლებამოსილებების გადანაწილების ნაწილში. ასევე, ის, რომ სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაციის დამტკიცება და საკითხების განხილვა ხორციელდებოდა სკოლის წესდების დარღვევით, წარმოადგენს წარსულში უკვე დამდგარ ფაქტებს. კერძოდ, სკოლა მონიტორინგის განხორციელებამდე მოქმედებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ და არასათანადო პროცედურით დამტკიცებული რეგულაციებით, თავისივე დადგენილი წესების საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა.

დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება არ ემთხვევა სკოლის მიერ განხორციელებულ პრაქტიკულ მმართველობით საქმიანობას. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სკოლის საქმიანობის შედეგად საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნების მიღწევას.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული სქემა;
- სამუშაო აღწერილობები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

ექსპრეტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის საკითხებს. კერძოდ, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს პერსონალის შერჩევის, მიღების, შეფასების და პროფესიული განვითარების ზოგად რეგულაციებს.

სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია შრომითი ურთიერთობის რეგულაციები, მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის ჩატარების პროცედურა, შრომითი ურთიერთობის პირობები, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობები, დისციპლინური გადაცდომები და გასათარებელი ზომები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. შინაგანაწესი ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს, თუმცა, ***სკოლის წესდების თანახმად, შინაგანაწესის განხილვისა და დამტკიცების უფლებამოსილება აქვს სკოლის პედაგოგიურ საბჭოს, სკოლის მიერ მოწოდებული შინაგანაწესი კი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, ანუ არაუფლებამოსილი პირის მიერ.***

შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ ყველა დასაქმებული ვალდებულია სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების რეგისტრაცია ასახოს სამუშაო დროის აღრიცხვის ელექტრონული სისტემის საშუალებით. თუმცა, სკოლას არ აქვს სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ასეთი ელექტრონული სისტემა. შესაბამისად, ***სკოლას მიეცა რჩევა, შეასწოროს აღნიშნული ჩანაწერი და მოიცვანოს შესაბამისობაში სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ფაქტობრივად მოქმედ სისტემასთან.*** ასევე, გაასწოროს ტექნიკური ხარვეზები დისციპლინური ზომის მოქმედების ვადასთან და ხანგრძლივი შრომისუუნარობის საფუძვლით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პუნქტში მითითებული შრომის კოდექსის მუხლი.

როგორც დადგინდა, სკოლის მიერ წარმოდგენილ მასწავლებლების ხელშეკრულებების ნაწილში არ არის გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება და სამუშაო საათების ოდენობა. კერძოდ, მითითებულია, რომ ანაზღაურება და სამუშაო საათები განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანებით. აღნიშნული ბრძანება 2024 წლის 01 ივლისამდე არეგულირებდა საჯარო სკოლის მასწავლებლის ანაზღაურების და სამუშაო დროის პირობებს. გარდა ამისა, დოკუმენტაციის

შესწავლით დადგინდა, რომ შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა განსაზღვრულია სკოლის დირექტორის შიდა ბრძანებით (2022 წლის 7 ნოემბრის ბრძანება N01/01-40).

გარდა ამისა, 2023 წელს მასწავლებლობის მაძიებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების 6 თვიანი გამოსაცდელი ვადა გასულია და ღიად არის დატოვებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა (ხელშეკრულების ავტომატურად გაგრძელების შემთხვევაში). 2022 წელს გაფორმებულ მასწავლებლობის მაძიებლობის ხელშეკრულებების მოქმედების ვადა ამოწურული იყო ექსპერტების ვიზიტის თარიღისთვის. სკოლას განახლებული ხელშეკრულებები არ წარმოუდგენია.

სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის ხელშეკრულებებში განსაზღვრულია, რომ მათი ფუნქციები გათვალისწინებულია დანართში, თუმცა ხელშეკრულებას არ ახლავს ასეთი დანართი.

შრომის კოდექსის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურება, სამუშაო და დასვენების დრო, შესასრულებელი სამუშაოს სახე წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად მიუთითა, რომ სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესების განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში მიუთითა „მეტწილი“.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზების 1 წლის ვადაში აღმოფხვრის გეგმასთან დაკავშირებით, ვინაიდან ხარვეზის აღმოფხვრის აქტივობა შესაძლებელია ყოფილიყო ხელშეკრულებების დაუყოვნებლივ განახლება მოქმედი რეგულაციების შესაბამისად და სკოლის შიდა დოკუმენტაციის უფლებამოსილი პირის/სტრუქტურული ერთეულის მიერ დამტკიცება, რისთვისაც 1 წლიანი ვადა არის გადაჭარბებული. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა.

აღნიშნულით დგინდება, რომ პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს ვაკანსიის ან/და ახალი პოზიციის საჭიროების გაჩენის შემთხვევაში სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ცხადდება კონკურსი, ხოლო სხვა დასაქმებული შემთხვევაში შესაძლოა ახალი კადრის მიღება მოხდეს დირექტორის გადაწყვეტილებითაც.

გარდა ამისა, სკოლის შიდა რეგულაციის თანახმად, ვაკანსიის გამოცხადებამდე დირექტორი და HR მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი განიხილავენ ინიციატორის რეკომენდაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კონკრეტულ პოზიციაზე რომელიმე არსებული თანამშრომლის დანიშვნასთან დაკავშირებით. ასევე დარეგულირებულია სკოლის საქმიანობის შეუფერხებლად და სრულყოფილად განხორციელების მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დირექტორის უფლებამოსილება კონკურსის გარეშე, არაუმეტეს სამი თვის ვადით ხელშეკრულების გაფორმება კონკრეტული პოზიციისთვის შერჩეულ შესაბამისი განათლების და გამოცდილების მქონე პირთან.

ჩატარებული ინტერვიუს შედეგად ასევე დადგინდა, რომ სკოლის დირექტორის ბრძანებით შესაძლოა მოხდეს ფუნქციების დროებით დაკისრება, მასწავლებლის საათების შიდა გადანაწილება, რაც წარმოადგენს ინტერვენციულ პოლიტიკას. გარდა ამისა, დირექციის განცხადებით, სკოლას აქვს ინფორმაცია, რომ უახლოეს თვეებში დასჭირდება მასწავლებლების შეცვლა და აღნიშნული მიზნით უკვე განახორციელა პრევენცია და შეაარჩია ახალი მასწავლებლები.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

ადამიანური რესურსების შერჩევის პროცედურა სკოლას გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და სკოლის შინაგანაწესში. სკოლამ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის ოქმი, რომლითაც განხორციელდა მასწავლებლების შერჩევა. სკოლა ვაკანსიებს აცხადებს დასაქმების პორტალზე teacherjobs.ge. სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება, რაც შესაბამისობაშია საკანონმდებლო რეგულაციებთან. *teacherjobs.ge-ს გვერდზე სკოლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესწავლით დადგინდა, რომ ვაკანსიის გამოცხადებისას სკოლას არ ჰქონდა განსაზღვრული საკონკურსო პირობები, სკოლის შინაგანაწესში კი მითითებულია, რომ საკონკურსო პირობებს კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს სკოლის დირექტორი. საკონკურსო კომისიის ოქმში ნახსენებია, რომ გადაწყვეტილება მიიღო 2022 წელს შექმნილმა კომისიამ, თუმცა კომისიის ბრძანება სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა. ასევე, არ იქნა წარმოდგენილი დირექტორის მიერ დადგენილი საკონკურსო პირობებიც. შესაბამისად, ვერ დადგინდა, საკონკურსო კომისიის შემადგენლობის და საკონკურსო პირობების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/5/01-23/5 ბრძანებით განსაზღვრულია სამედიცინო პერსონალის შერჩევა სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. *შრომითი ხელშეკრულების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას*

ექიმის პოზიციაზე დასაქმებული ჰყავს პირი 2022 წლის ნოემბრიდან. სკოლამ ვერ წარმოადგინა ექიმის კონკურსის წესით მიღების დამადასტურებელი საკონკურსო დოკუმენტაცია.

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლების პირადი საქმეების მხოლოდ ნაწილი, რომლის შესწავლითაც დადგინდა, რომ მათში სრულყოფილად არ არის განთავსებული სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, კერძოდ, დიპლომები და ნასამართლეობის ცნობები (ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ). სკოლამ ვერ წარმოადგინა 14 თანამშრომლის პირადი საქმე, შესაბამისად, ვერ შემოწმდა აღნიშნულ პირთა პირად საქმეში განსათავსებული დოკუმენტაცია.

სკოლას ყველა თანამშრომელთან არ აქვს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებების უმრავლესობის მოქმედების ვადები გასულია. მათ შორის, მასწავლებლების ნაწილთან, როგორც მასწავლებლობის მაძიებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, თუმცა ისინი არ არიან შერჩეულები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს N169/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით, შესაბამისად, ისინი არ არიან ჩართულები მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამაში. მათ შორის, მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამაში ჩართული მასწავლებლების ნაწილთან გასულია მაძიებლობის 2 წლიანი ვადა, ასევე ამოწურულია 2022 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადები და ორწლიანი პერიოდის განმავლობაში არ გაუვლიათ მაძიებლობის კანონმდებლობით განსაზღვრული პროგრამა. გარდა ამისა, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მიუხედავად, ისინი კვლავ აგრძელებენ სკოლაში მუშაობას.

სკოლის ადმინისტრაციამ და მასწავლებელმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ ერთი მასწავლებელი მიღებულია შემცვლელი მასწავლებლის პოზიციაზე, თუმცა მასთან არ იყო გაფორმებული შესაბამისი, შემცვლელი მასწავლებლის ხელშეკრულება, დროებით არმყოფი მასწავლებლის ჩანაცვლების მიზნით.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად მიუთითა, რომ სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის შერჩევის პროცედურებს, პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას, ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში მიუთითა „მეტწილი“.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზების მომავალში აღმოფხვრის გეგმასთან დაკავშირებით, შემდეგი გარემოებების გამო:

- სკოლას კონკურსები ჩატარებული აქვს კანონმდებლობისა და შიდა წესების მოთხოვნათა დარღვევით, რაც წარმოადგენს წარსულში უკვე დამდგარ ფაქტს და მისი მომავალში გამოსწორება ველარ მოხდება;
- სკოლის ექიმი არ არის დასაქმებული კონკურსის წესით, რაც ასევე წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტს;
- მასწავლებლობის მაძიებლები არ არიან შერჩეულები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს N169/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით, შესაბამისად, ისინი არ არიან ჩართულები

მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამაში, ხოლო მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამაში ჩართული მასწავლებლების ნაწილთან გასულია მაძიებლობის 2 წლიანი ვადა, ამოწურულია 2022 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადები და ორწლიანი პერიოდის განმავლობაში არ აქვთ გავლილი მაძიებლობის კანონმდებლობით განსაზღვრული პროგრამა. შესაბამისად, ვეღარ მოხდება აღნიშნულ პირებთან მიმართებით ხარვეზის მომავალში აღმოფხვრა.

- სკოლის თანამშრომლების პირადი საქმეების წარმოებასთან დაკავშირებით ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით სკოლას არ წარმოუდგენია შესაბამისობის უზრუნველყოფის კონკრეტული აქტივობა, თუ როგორ გეგმავს ხარვეზის აღმოფხვრას.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა.

შესაბამისად, არ დასტურდება კადრების მოზიდვა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლის თანამშრომელთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 53 თანამშრომელი, მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებულია 33 მასწავლებლის პოზიციაზე, ხოლო დანარჩენი პირები ადმინისტრაციულ პოზიციებზე. სკოლას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეულ ადმინისტრაციულ პოზიციასთან მიმართებით, ხოლო მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია კანონმდებლობით. ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

მასწავლებელთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 13 უფროსი და 1 წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე პირი, ასევე, 4 მასწავლებლობის მაძიებელი. *სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ მასწავლებლობის მაძიებლების სტატუსის მქონე პირების ხელშეკრულების მოქმედების ვადები ამოწურულია და მათ არ აქვთ მოპოვებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მასწავლებლის რომელიმე სტატუსი. ასევე, სტატუსის გარეშე არსებულ მასწავლებელთა ნაწილთან გაფორმებულია მასწავლებლობის მაძიებლობის ხელშეკრულება, თუმცა მათი მაძიებლობის სტატუსი არ არის დადასტურებული სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს N169/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით.*

პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებულია 2 პირი, რომლებსაც აქვთ ბიბლიოთეკარის დიპლომი. ასევე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებულია 2 პირი, რომელთაგან ერთ-ერთს აქვს ქიმიკოსის დიპლომი, ხოლო მეორეს - ტელევიზიისა და კინოს მხატვრობის დიპლომი. არცერთ მათგანს არ უდასტურდება შესაბამისი საგნობრივი კომპეტენცია და კვალიფიკაცია არც სტატუსით და არც სხვა დოკუმენტაციით.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად მიუთითა, რომ სკოლა იზრუნებს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ასევე, სკოლამ მიუთითა, რომ გამოაცხადა ვაკანსია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი კადრების ასაყვანად, კანონმდებლობის სრული დაცვით. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში მიუთითა „მეტწილი“.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზების მომავალში აღმოფხვრის გეგმასთან დაკავშირებით, სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არსიდან გამომდინარე. კერძოდ, ხელშეკრულებებით დადგინდა, რომ სკოლა სასწავლო პროცესს 2022 წლიდან მოყოლებული ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამო მასწავლებლების მეშვეობით. შესაბამისად, ინდიკატორში აღწერილი ხარვეზი წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტს. გარდა ამისა, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 1 წელი, რაც ნიშნავს იმას, რომ არაკვალიფიციური მასწავლებლების მეშვეობით გაგრძელდება სასწავლო პროცესის წარმართვა მომდევნო 1 წლის განმავლობაში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა.

დგინდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან და ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა. კათედრებს გააჩნიათ წლის დასაწყისში დამტკიცებული სამოქმედო გეგმები. სკოლამ წარმოადგინა კათედრების ოქმები და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. სკოლამ ასევე წარმოადგინა საკონკურსო კომისიის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება მასწავლებლის ვაკანსიასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილებები მიღებულია კენჭისყრის შედეგად.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული - პედაგოგიური საბჭო. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. პედაგოგიური საბჭოს ოქმებში არ ფიქსირდება დამსწრე წევრები, გამოთქმული მოსაზრებები, კენჭისყრის შედეგები. შესაბამისად, არ დასტურდება პედაგოგების მიერ კოლეგიურობის პრინციპით და თანამონაწილეობით გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს არ დაადასტურეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობის და სასკოლო კურიკულუმების ერთობლივად შემუშავების ფაქტი.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც მიუთითა, რომ სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის მართვისა და ორგანიზაციული კულტური დაფუძნებას გუნდური მუშაობის პრინციპებზე. ასევე, მიუთითა, რომ სკოლა იზრუნებს პედაგოგების თანამონაწილეობაზე

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში მიუთითა „მეტწილი“.

ინდიკატორში აღწერილი ხარვეზები წარმოადგენს უკვე წარსულში დამდგარ ფაქტებს. სკოლის პრაქტიკას არ წარმოადგენს გუნდურად და კოლეგიურად მუშაობის პრინციპები, რაც დადასტურებულია მასწავლებლების მხრიდან მათთან ჩატარებული ინტერვიუს დროს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზების მომავალში აღმოფხვრის გეგმასთან დაკავშირებით, სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არსიდან გამომდინარე და ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლას შემუშავებული აქვს წახალისების ფორმები. კერძოდ, დღესასწაულებთან დაკავშირებით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის და სხვა საფუძვლით წახალისება. გაწერილი აქვს წახალისების ფორმები, როგორცაა მაღლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება და სხვა. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ხშირია სიტყვიერი წახალისება, თუმცა წახალისების რომელიმე ზომის გამოყენებისას არ ახდენს დოკუმენტირებას.

სკოლას მიეცა რჩევა, დასაქმებულების წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და წახალისების ფორმების გამოყენების შემთხვევაში განახორციელოს მათი დოკუმენტირება შინაგანაწესით დადგენილი წესით.

შესაბამისად, სკოლის შინაგანაწესის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა ბაზა;
- მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა;
- Teacherjobs.ge-ზე გამოცხადებული კონკურსები;

- თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- კონკურსის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს თანამშრომელთა მიერ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შეფასების ხორციელდება სპეციალური „თანამშრომლის შეფასების ფორმის“ გამოყენებით. აღნიშნულ პროცესში ჩართულია HR მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი, დირექტორი და ყველა ხელმძღვანელი პირი მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების შეფასების მიზნით. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული პირების ყოველკვარტლურ შეფასებას. შეფასების მეთოდად ასევე გამოიყენება ხელმძღვანელი პირებისთვის კვარტლური ანგარიშების წარდგენა, ხოლო შეფასების შედეგების გათვალისწინებით, HR მართვის და საქმისწარმოების მენეჯერის მიერ თანამშრომელთა გადამზადების წლიური გეგმის შედგენა. გეგმაში ასახულია სატრენინგო საკითხი და თემა, ასევე სამიზნე ჯგუფი, რესურსი და ტრენინგის ჩატარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. თანამშრომელთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების გეგმის ფორმები დანართის სახით თან ერთვის პოლიტიკის დოკუმენტს. პროფესიული განვითარების მექანიზმების არსებობას ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტიც.

სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები პრიორიტეტებში ითვალისწინებს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებას და შესაბამის აქტივობებს. სკოლას მიეცა რჩევა, სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებში ასევე გაითვალისწინოს მასწავლებლების გარდა სხვა თანამშრომლების პროფესიული განვითარებაზე ზრუნვაც.

დგინდება, რომ სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული საჭიროებების დადგენა და შემდგომი რეაგირების მექანიზმები გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, სკოლა არ ახდენს პრაქტიკაში მსგავსი მეთოდების გამოყენებას. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევის მიზნით შემუშავებული კითხვარები, თუმცა ვერ წარმოადგინა აღნიშნული კვლევის განხორციელების დამადასტურებელი მასალა.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც მიუთითა, რომ სკოლამ უზრუნველყო პერსონალის საჭიროებების გამოვლენა, შესაბამისად მოხდება პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება და მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში მიუთითა „მეტწილი“. სკოლამ თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის დამადასტურებელი მტკიცებულება და გეგმა,

რომლითაც გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავს მასწავლებელთა პროფესიული აქტივობების განხორციელებას მომავალში.

გარდა იმისა, რომ სკოლა გასულ პერიოდში არ ახორციელებდა თანამშრომელთა საჭიროებების კვლევას, სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგ, 2024 წლის დეკემბერში ჩატარებული გამოკითხვა ეხება მხოლოდ მასწავლებლის საჭიროებების დადგენას და სკოლას არ აქვს განხორციელებული პროფესიული საჭიროებების კვლევა სკოლაში დასაქმებულ სხვა თანამშრომლებთან მიმართებით. პერსონალის პროფესიული განვითარება უნდა ხორციელდებოდეს არა მხოლოდ მასწავლებლების, არამედ სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან მიმართებითაც. სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მითითებული აქვს, რომ უკვე უზრუნველყო პროფესიული საჭიროებების გამოვლენა და არ წარმოუდგენია დაგეგმილი აქტივობა ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული საჭიროებების განვითარებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება არ შეცვლილა.

სკოლამ ვერ დაადასტურა საჭიროებების კვლევის ფაქტი სკოლაში დასაქმებული პერსონალის მიმართ.
ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომლის გადაყვანას სხვა ვაკანტურ თანამდებობაზე, რაც შეიძლება განხულოდეს იქნას როგორც პერსონალის კარიერული ზრდის ერთ-ერთი მექანიზმი.

სკოლაში არ ხორციელდება პროფესიული საჭიროებების კვლევა და ანალიზი, სკოლა არ ახორციელებს არც კარიერული ზრდის ხელშეწყობისთვის საჭირო ღონისძიებებს. სკოლას არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება კარიერული ზრდის კუთხით გატარებულ ზომებზე. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ სკოლას 2022 წლიდან დასაქმებული ჰყავს მასწავლებლობის მაძიებლები, თუმცა არ განუხორციელებია მაძიებლობის პროგრამის წარმატებით გავლისთვის საჭირო აუცილებელი ღონისძიებები, რაც საშუალებას მისცემდა მასწავლებლობის მაძიებლებს კარიერული ზრდის კუთხით განხორციელებინათ აქტივობები და მოეპოვებინათ კანონმდებლობით დადგენილი სტატუსისთვის საჭირო კვალიფიკაციები.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც მიუთითა, რომ უზრუნველყოფს 2022 წლიდან დასაქმებული მასწავლებლობის მაძიებლების პროგრამის წარმატებით გავლისთვის საჭირო აუცილებელი ღონისძიებებს. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში მიუთითა „მეტწილი“.

გარდა იმისა, რომ აღწერილი ხარვეზი წარმოადგენს უკვე წარსულში დამდგარ ფაქტს, სკოლის მიერ გაწერილი ხარვეზის აღმოფხვრის აქტივობის შესრულება ვერ განხორციელდება, რადგან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს N169/ნ ბრძანების დანართით დადგენილი წესით, მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის გავლის პერიოდი განსაზღვრულია მაძიებლად რეგისტრაციიდან 2 წლის განვალბაში. 2022 წელს მასწავლებლობის მაძიებლად სკოლაში დასაქმებული პირებისთვის აღნიშნული ვადა შედგენდა 2 წელს, რომელიც მათთან მიმართებაში გასულია. ამავდროულად ბრძანებით დადგენილი წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, მაძიებლობის პროგრამის 2 წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, დირექტორი ვალდებულია შეწყვიტოს მაძიებელთან გაფორმებული ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, სკოლის მიერ გეგმაში ასახული შესაბამისობის უზრუნველყოფის 1 წლიანი ვადის განსაზღვრა საფუძველს მოკლებულია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება არ შეცვლილა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან წარმატებული ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესში ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია და კათედრები. სკოლას მიმდინარე წესდ მიღებული ჰყავს ახალი მასწავლებლები, რომლებიც გადამამზადებულნი არიან სხვადასხვა კათედრებზე, სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა რომ უახლოეს მომავალში ახალი კადრის მიღების საჭიროება დადგებოდა, სკოლამ განხორციელა პრევენცია და მიიღო ახალი მასწავლებლები. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ეტაპზე არ იყო ჩანაცვლების საჭიროება, მიღებული კადრები უკვე ჩართულები არიან სასწავლო პროცესში მათი წარმატებული ინტეგრაციის მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს დაადასტურა, რომ ისინი მუდმივად გამოთქვამენ მზაობას პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით მათი სურვილის შემთხვევაში. თითოეულ დასაქმებულს აქვს საშუალება პირადად შეხვდეს დირექტორს და დააფიქსიროს ინიციატივა, რასაც მხარს დაუჭერს დირექტორი.

სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით ინიციატივის დაყენების და მასზე რეაგირების მარეგულირებელი შიდა წესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- საჭიროებების კვლევის კითხვარების ფორმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლას შემუშავებული ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიზანი იყო სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. დოკუმენტი განსაზღვრავდა ხარისხის მართვის შიდა და გარე მექანიზმების არსებობას. შიდა ხარისხის მართვა ეფუძნებოდა ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე.

დოკუმენტი აღწერდა ადამიანური რესურსების შეფასების და მათი გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისა და მათი გაუმჯობესების, ასევე სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების და მართვის მიზნით დადგენილ ღონისძიებებს.

თუმცა, დადგინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი არ მიემართებოდა სკოლაში მიმდინარე ძირითად, მმართველობით და დამხმარე პროცესებიდან ყველას, შესაბამისად, თითოეულ პროცესთან მიმართებით არ იყო განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფაში მონაწილე პირები, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები, არ იყო გათვალისწინებული რა პერიოდულობით და რა ვადებში უნდა მომხდარიყო ხარისხის შემოწმება და მიღებულ რეკომენდაციებზე რეაგირება.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განახლებული დოკუმენტი და შრომითი ხელშეკრულებები ხარისხის მართვის მენეჯერებთან.

სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შენიშვნის გრაფაში შესრულების სტატუსად მიუთითა „დასრულებული“. ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აღწერია ხარისხის უზრუნველყოფის სრული ციკლი სკოლაში მიმდინარე პროცესებთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, მმართველობით პროცესად განსაზღვრულია მისიის და ღირებულებების მიხედვით სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი. ძირითად პროცესად მოიაზრება სასკოლო კურიკულუმის შემუშავება და განვითარება, ხოლო დამხმარე პროცესებად პერსონალის მართვა და განვითარება, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურის განვითარება, სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, ფინანსური მართვა, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრების განხილვის მექანიზმები, რომელშიც აღწერილია განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის ვადები, დისციპლინური სახდელის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და ვადები. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები შეიცავს მითითებას სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების უფლების თაობაზე.

დოკუმენტი ადგენს დირექტორის მიმართ პრეტენზიის წაყენების წესს, რომლის მიხედვითაც საჩივარს განიხილავს დისციპლინური კომისია, რომელიც შედგება არჩეული წევრებისგან. სკოლას ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე არ წარმოუდგენია ასეთი კომისიის დაკომპლექტების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, დისციპლინური კომისია დააკომპლექტოს წინასწარ და არა კონკრეტული პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში, იმისათვის, რომ დაცული იყოს კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის გამჭვირვალობა და ობიექტურობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონია გადაწყვეტილების გასაჩივრების ან დირექტორის მიმართ პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევა.

სკოლის მიერ შემუშავებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურა მთლიანობაში ქმნის საჩივრების განხილვის სისტემას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმებს წარმოადგენს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესი, გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმები, მოსწავლის მხარდაჭერის მექანიზმები,

პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს მოსწავლის უფლებების დაცვის დებულებებს და შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ უფლებებთან. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და დისციპლინური გადაცდომების შესახებ ინფორმაციას, რაც წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის გარანტიებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმები;
- პერსონალური მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომელიც ადგენს სკოლის ვალდებულებებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით. კერძოდ, სკოლას იღებს ვალდებულებას საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს

საჯარო დოკუმენტები (განათავსოს საინფორმაციო დაფაზე, ატვირთოს სკოლის ვებ გვერდზე, სხვა), მიაწოდოს საჯარო ინფორმაცია, კანონის სრული დაცვით, საზოგადოების დაინტერესებულ წევრს მისთვის ხელსაყრელი ფორმით (ელექტრონული ვერსია/ამობეჭდილი), უზრუნველყოს საინფორმაციო და სხვა ტიპის შეხვედრები (კანონის სრული დაცვით) საზოგადოების დაინტერესებულ წევრებთან, იმგვარად, რომ ხელი არ შეემალოს სასწავლო პროცესს და სხვა.

სკოლა საზოგადოების ინფორმირებისთვის იყენებს სოციალურ ქსელსა და სკოლის ვებ-გვერდს. სკოლის ვებ-გვერდის მეშვეობით შესაძლებელია კომუნიკაციის დამყარება სკოლის ადმინისტრაციასთან და უკუკავშირის მიწოდება. სკოლის ვებ-გვერდზე დოკუმენტების და თანამშრომლების შესახებ ინფორმაციის განთავსება ევალება სკოლის IT სპეციალისტს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

კოლეგიური ორგანოების სახით სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო და საგნობრივი კათედრები. აღნიშნულ კოლეგიური ერთეულების საქმიანობაში ჩართულები არიან სკოლის მასწავლებლები. კათედრებს წლის დასაწყისში შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმები.

როგორც სკოლის წესდებით დადგინდა, პედაგოგიური საბჭოს უფლებამოსილებაში შედის ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, როგორიცაა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლის შინაგანაწესის, კათედრის ხელმძღვანელების, დამრიგებლების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და დამტკიცება. მიუხედავად ამისა, **სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის შესწავლისას სკოლამ ვერ დაადასტურა სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობა და უფრო მეტიც, ჩამოთვლილი დოკუმენტები დამტკიცებულია არა პედაგოგიური საბჭოს არამედ სკოლის დირექტორის მიერ.**

მშობლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან სასკოლო ცხოვრების შესახებ, მჭიდრო კომუნიკაციაში არიან დამრიგებლებთან და ფლობენ ინფორმაციას სკოლის საქმიანობის შესახებ, თუმცა **სკოლის პრაქტიკაში კონკრეტულ გადაწყვეტილებებში მოსწავლეთა ან/და მშობლეთა თანამონაწილეობა და ჩართულობა არ დასტურდებოდა.**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-06.12.2024 პერიოდი, ხოლო შესრულების სტატუსად მიუთითა „დასრულებული“.

სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა, კერძოდ, სკოლისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების და რეგულაციების შემუშავებაში. სასკოლო საზოგადოების წევრების, მათ შორის, მშობლებისა და მოსწავლეების თანამონაწილეობით მოხდა სკოლის მისიის, ხედვის და

ღირებულებების გადახედვა და რევიზია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- კათედრის ოქმები;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- ვებ-გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სკოლის ტერიტორია შემოღობილია და დაცულია გარეშე პირთაგან. სკოლის შინაგანაწესით აკრძალულია გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლა სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე.

სკოლის შესასვლელი კარი იკეტება და მხოლოდ ზარის ღილაკის მეშვეობით ადინისტრაციასთან დაკავშირების შემდეგ არის შესაძლებელი შენობაში შესვლა. სკოლას შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის ფუნქციებშიც

შედის შრომის უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფა. სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის შესასრულებლად სავალდებულოა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა წესების დაცვა. სკოლაში უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებად განსაზღვრულია ვიდეოკამერები სკოლის შენობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე; ევაკუაციის გეგმის შესაბამისად განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული ევაკუაციის გეგმა.

სკოლას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადების თაობაზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს სკოლის მიმართვა.

სკოლას დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციებს მართვის გეგმა, თუმცა არ არის შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან. სკოლამ წარმოადგინა მიმართვის წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან აღნიშნული გეგმის შეთანხმების თაობაზე.

სკოლას ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე არ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

შენობის დათვალიერებით დადგინდა, რომ შენობის პირველ სართულზე არსებულ სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებულ ოთახებში ინახება გაზის ბალონები და შეინიშნება გაზის სუნი. ასევე, სკოლის სამზარეულოსა და სველი წერტილების ნაწილში ფუნქციონირებს გაზის წყლის გამაცხელებელი, რომელიც დამონტაჟებულია დახურულ სივრცეებში. დახურულ სივრცეში გაზის მოხმარება ან დაგროვება საფრთხეს წარმოადგენს სახანძრო უსაფრთხოების კუთხით.

ვიდეოსათვალითვალო სისტემის მეშვეობით ხორციელდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი, თუმცა, ვიდეომონიტორინგის სისტემის გადამოწმებისას დადგინდა, რომ კამერები არ იძლევა სრული სივრცის კონტროლის საშუალებას. ვიდეომონიტორინგის სივრცეებში არ არის გამოკრული შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც „მეტწილი“.

სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, რომელშიც შენობის მდგომარეობა შეფასებულია როგორც არადაამაკმაყოფილებელი და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ შენობის ექსპლუატაცია შესაძლებელია და არ არის საფრთხის შემცველი.

დანარჩენ ხარვეზებთან დაკავშირებით სკოლამ გეგმაში ასახა ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს დარჩენილი ხარვეზების აღმოფხვრა.

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო ოთახი და დასაქმებული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი პედიატრის დიპლომით, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელი სერტიფიკატი. სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი.

სამედიცინო კაბინეტის დათვალიერებისა და სკოლის ექიმთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სამედიცინო კაბინეტი არ იყო აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანების შესაბამისი ინვენტარით და ექიმის მიერ არ ხორციელდება აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული წესით დოკუმენტაციის წარმოება.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-06.12.2024 პერიოდი, ხოლო შენიშვნის გრაფაში შესრულების სტატუსი განსაზღვრა როგორც „დასრულებული“.

სკოლამ წარმოადგინა სამედიცინო კაბინეტის შესაბამისი ინვენტარის აღჭურვისა და სამედიცინო დოკუმენტაციის დადგენილი წესით წარმოების დამადასტურებელი მტკიცებულებები (ფოტოსურათები). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სასკოლო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს ინტეგრირებული აქტივობები საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად. თემატიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს: ა) ძალადობა (მათ შორის ნადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ბ) ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; გ) ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; დ) ჯანსაღი ცხოვრების წესი; ე) პერსონალური მონაცემების დაცვა; ვ) მედიაწიგნიერება.

სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შიდა წესი, თუმცა აღნიშნული წესი არ არის შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით“.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლის ტერიტორიაზე არ იყო გამოკრული ამავე წესით გათვალისწინებული უწყებების/პირების ცხელი ხაზის ნომრები. სკოლას არ ჰყავდა განსაზღვრული საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირები, უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირები და შესაბამისად არ იყო თვალსაჩინო ადგილას განთავსებული მათი ტელეფონის ნომრები და ვინაობა.

სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, თუმცა შინაგანაწესში არ არის ასახული თუ რა ითვლება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად, ასეთი დარღვევისთვის გათვალისწინებული ზომები, დამრიგებლებისა, მასწავლებლების, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების და სკოლის ადმინისტრაციის ვალდებულებები, მათ მიერ გასატარებელი ზომები, რაც სკოლას უნდა განხორციელებინა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც „მეტწილი“.

სკოლამ წარმოადგინა ფოტოსურათები, რომლებშიც დასტურდება, რომ სკოლაში თვალსაჩინოდ გამოაკრა ცხელი ხაზებისა და უფლებამოსილი პირების ტელეფონის ნომრები. დანარჩენ ხარვეზებთან დაკავშირებით სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ასახა ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილი შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფის დარჩენილი ხარვეზის აღმოფხვრა.

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლის სტრუქტურული სქემა ითვალისწინებს ფსიქოლოგის პოზიციას. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ ფსიქოლოგის ფუნქციაა მოსწავლისათვის ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევის ფარგლებში კონსულტაციის გაწევა მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მანდატურების, უფლებამოსილი პირების, საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ან/და მასწავლებლებისათვის.

სტრატეგიულ და ერთწლიან გეგმებში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების გაძლიერება, პასუხისმგებელ პირად კი განსაზღვრულია სკოლის ფსიქოლოგი. სკოლის ბაზის გადამოწმებით და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას ვიზიტის ეტაპზე არ ჰყავს დასაქმებული ფსიქოლოგი და აღნიშნული პოზიცია იყო ვაკანტური. *ვინაიდან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად თავად სკოლას განსაზღვრული აქვს ფსიქოლოგის თანამონაწილეობა და პასუხისმგებლობა, სკოლას მიეცა რჩევა, სკოლაში დაასაქმოს ფსიქოლოგი, იმისათვის, რომ უზრუნველყოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში დაწესებულების მიერვე განსაზღვრული აქტივობის/ამოცანის შესრულება.*

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის კუთხით სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შენობის დალაგების წესები. სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი. სკოლის სანიტარული კვანძები დასუფთავებულია და მათში განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები. სანიტარული კვანძები მარაგდება წყლით. *სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი წყლით უზრუნველსაყოფად საჭირო წყლის რეზერვუარების არსებობა იმ შემთხვევისთვის, თუკი საჭირო გახდება წყლით მომარაგება წყლის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში. ასევე, უზრუნველყოს როგორც გოგონების, ასევე ვაჟების საპირფარეშოებზე შესაბამისი ნიშანდება.*

შენობის პირველ სართულზე არსებული ოთახების ნაწილი გამოიყენება მეურნეო დანიშნულებით და მასში განთავსებულია სხვადასხვა ნარჩენი მასალა, მერხების, სკამებისა და სხვა სამეურნეო ინვენტარის კონსტრუქციები, საღებავი ნივთიერებები. აღნიშნულ ოთახებს სკოლა არ იყენებს სასწავლო პროცესში, დაკეტილია გასაღებით და ამით შეზღუდულია ოთახებში შესვლის შესაძლებლობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელიც აღწერს პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობებს. მშობელთან და თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნები და თანხმობის პირობა.

სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, თუმცა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია მისი დანიშვნის/განსაზღვრის შესახებ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი ითვალისწინებს ოფიცრის შესახებ ინფორმაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის მიწოდების ვალდებულებას, რომელიც ქვეყნდება სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. თუმცა შესაბამისი სამსახური ვებ-გვერდის გადამოწმებით დადგინდა, რომ ინფორმაცია არ არის მიწოდებული და ასახული შესაბამის გვერდზე.

სკოლას მიეცა რჩევა, დანიშნოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები შესაბამისობაში მოიყვანოს კანონთან და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე თანხმობები მოიპოვოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

მოსავლეთა და პერსონალის პირადი საქმეები ინახება საქმისმწარმოებელთან, დაცულ ოთახში. კომპიუტერები, რომლებშიც მუშავდება კონფიდენციალური ინფორმაცია დაცულია პაროლებით, პროგრამული განახლების სისტემებით. თითოეულ ელექტრონულ პლატფორმას აქვს, რომელსაც სკოლა იყენებს, აქვს ინდივიდუალური მომხმარებლის სახელი და პაროლი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება, შედეგების დოკუმენტირება და შედეგების გაუმჯობესება. შესაბამისად, *ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე დადგინდა, რომ სკოლა არ ახორციელებდა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შესაბამისად, შეფასების შედეგების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის გამოყენებას.*

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მიუთითა, რომ უზრუნველყოფს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შესაბამისად, შეფასების შედეგების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის გამოყენებას. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად სკოლამ განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც „მეტწილი“.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულება სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი საგანგებოს სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე და გეგმა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- პირველადი სამედიცინო დახმარების წესი;
- ექიმის პირადი საქმე;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ხელშეკრულება და სერტიფიკატი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლა საკუთრებაში ფლობს 3 შენობა-ნაგებობას (N1 - განაშენიანების ფართი 1103.44 (საერთო სასარგებლო ფართი: 1504.3 კვმ), N2 - განაშენიანების ფართი 1142.56 (საერთო სასარგებლო ფართი: 1866.98.3 კვმ), N3 - დამხმარე ნაგებობა განაშენიანების ფართით 42 კვმ). ძირითადი შენობები შედგება 2 სართულისგან და მეორე სართულები დაკავშირებულია ერთმანეთთან მყარი კონსტრუქციის ხიდით.

N1 შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, მუსიკის ოთახი, სასადილო, საკლასო ოთახები, სველი წერტილები და სამედიცინო კაბინეტი. აღნიშნულ სართულზე განთავსებული საკლასო ოთახები გამოიყენება სასაწყობე დანიშნულებით. შენობის მეორე სართულზე კი განთავსებულია ადმინისტრაციის ოთახები/კაბინეტები, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ოთახები, საკლასო ოთახები (მათგან ამჟამად საკლასო ოთახის დანიშნულებით ფაქტობრივად ფუნქციონირებს 19 ოთახი), სველი წერტილების გოგონებისა და ვაჟებისთვის. N2 შენობის მეორე სართულის ნაწილში განთავსებულია ბიბლიოთეკა და საკლასო ოთახები, ხოლო შენობის ნაწილი არ გამოიყენება სასწავლო დანიშნულებით და არის გადატვირთული. საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება და დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა.

ინფრასტრუქტურის დათვალიერებით დადგინდა, რომ შეცვლილია საკლასო ოთახების რაოდენობა და ტიხრები. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის შიდა აზომვითი ნახაზები შესაბამისობაში მოიყვანოს ფაქტობრივ მდგომარეობასთან.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ საკლასო ოთახები და სათავსები აღჭურვილია მერხებითა და სკამებით, მათ შორის 2 ადგილიანი მერხებით. საკლასო ოთახები აღჭურვილია დაფებით, მასწავლებლის სკამითა და მაგიდით. სასაწყობედ გამოყენებული ოთახების მდგომარეობა არ იძლეოდა საშუალებას განსაზღვრულიყო მერხების ზუსტი ფაქტობრივი რაოდენობა. სკოლამ ვერ წარმოადგინა მერხების და კომპიუტერების საკუთრებაში/კანონიერი მფლობელობის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წარმოდგენილ იქნა ექსელის ცხრილები (ადმინისტრაციის განცხადებით ორისის ბულალტრული პროგრამიდან ჩამოტვირთული ფაილი), რომლითაც ვერ დგინდება ინვენტარის რაოდენობა. შესაბამისად, ვერ დადგინდა სკოლის საკუთრებაში/კანონიერ მფლობელობაში არსებული მერხების, სკამებისა და კომპიუტერული ტექნიკის ჯამური რაოდენობა შეესაბამება თუ არა სკოლის მიერ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას (327 მოსწავლე).

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მიუთითა, რომ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსის, კერძოდ, მერხებისა და კომპიუტერების ფლობის დადასტურებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც „მეტწილი“.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, სკოლის ბიბლიოთეკა, ეზო, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სკოლის ეზო წარმოადგენს რეკრეაციულ სივრცეს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სპორტული აქტივობებისთვის, სხვადასხვა ღონისძიებებისა და შესვენის პროცესისთვის. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებისას გამოიყენონ პროექტორები, ეკრანები, სკოლის სააქტო დარბაზი და სცენა. სკოლის ბიბლიოთეკის დებულებით უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა როგორც სკოლის პერსონალისთვის, ასევე მოსწავლისა და მშობლისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლას აქვს საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც განთავსებულია საბიბლიოთეკო რესურსები. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომლის ფუნქციებშიც შედის საბიბლიოთეკო ფონდების რაციონალურად ფორმირება და ორგანიზება, მათი დაცვა, აღრიცხვა, დამუშავება, საცნობარო-საძიებო საშუალებების შექმნა და მათი გამოყენების ორგანიზება საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი წესების დაცვით, ფონდის კატალოგიზაცია - კლასიფიკაცია (ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების აღრიცხვა და კატალოგების შექმნა), წიგნადი ფონდის მოწესრიგება, მოსწავლეებისთვის დამატებითი საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში და წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების შეძენაში დახმარება და სხვა. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. საბიბლიოთეკო რესურსების გადამოწმებით დადგინდა, რომ რეგისტრაციაში გატარებულია 3000-ზე მეტი წიგნი, მოსწავლეების მიერ წიგნის გატანის შემთხვევაში ივსება მკითხველის ბარათი. საკითხავი ლიტერატურა აღრიცხული და დამუშავებულია, ასევე კლასიფიცირებულია სისტემურად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის შენობის პირველ სართულზე შესასვლელად მოწყობილია პანდუსი, ასევე, სართულებზე გადასადგომიდან სკოლას აქვს მოძრავი პანდუსი. სკოლას არ აქვს რესურსოთახი, თუმცა სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში, ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას მოეწყოს რესურს ოთახი.

სკოლას მიეცა რჩევა, სკოლა აღჭურვოს რესურს ოთახის მოსაწყობად საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით, იმისათვის, რომ შექმნას მზაობა სსსმ მოსწავლის მისაღებად.

სკოლის შენობის პირველ სართულზე მოწყობილია საპირფარეშო, რომელსაც აქვს შესასვლელი პანდუსი, თუმცა კარს აქვს ზღურბლი და საპირფარეშოს შიდა ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული. შენობის პირველ სართულზე არსებული სპორტულ დარბაზს აქვს ჩასასვლელი საფეხური, რის გამოც ეტლით მოსარგებლე პირებს ეზღუდებათ სპორტული დარბაზით სარგებლობის საშუალება.

შესაბამისად, სკოლის ინფრასტრუქტურა არ ქმნიდა ინკლუზიურ გარემოს.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მიუთითა, რომ სკოლა უზრუნველყოფს პანდუსის და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობას. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც „მეტწილი“.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლას აქვს შიდა დახურული ეზო, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სოციო-კულტურული და არაფორმალური აქტივობებისთვის. სკოლას, ასევე, აქვს სააქტო დარბაზი და სცენა, მუსიკალური ინსტრუმენტი და მოსასმენი აპარატურა, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ღონისძიებებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის ინფრასტრუქტურა;
- სკოლის სართულები გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლის შენობის მეორე სართულზე განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ლაბორატორია აღჭურვილია 16 პერსონალური კომპიუტერით. სკოლის ადმინისტრაციის ოთახებში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები და ლეპტოპები სამუშაო პროცესის წარმართვისთვის. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტი. სკოლას აქვს მოძრავი პროექტორი.

სკოლა ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას იყენებს როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე Eschool-ის ბაზაში საქმიანობის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტით სარგებლობისას, ელექტრონული ჟურნალის წარმოებისას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული კომპიუტერული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შიდა წესები. არ იყო განსაზღვრული კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის განრიგი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა საგაკვეთილო პროცესის მიღმა.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შიდა წესები. ასევე, განსაზღვრა კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის განრიგი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს რესურსების თანაბარი

ხელმისაწვდომობა საგაკვეთილო პროცესის მიღმა. სკოლაში ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-06.12.2024 პერიოდი, ხოლო შენიშვნის გრაფაში შესრულების სტატუსად მიუთითა „დასრულებული“.

ვინაიდან სკოლაში წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების შიდა წესი, რომელიც ადგენს სკოლის საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, სკოლაში შემოსულ დოკუმენტებზე, განცხადებებსა და წერილებზე მუშაობის წესებს. დოკუმენტი განსაზღვრავს შემოსული დოკუმენტაციის მიღებისა და დამუშავების წესებს, გასული დოკუმენტაციის წარმოების წესებს, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების და სხვა დოკუმენტების გაფორმების წესებს. სკოლაში მოქმედებს ბრძანებებისა და ხელშეკრულებების სააღრიცხვო ჟურნალები, რომლებიც აკინძულია, დანომრილია და დამოწმებულია დირექტორის ბეჭდით. დოკუმენტის თანახმად, სკოლის დოკუმენტების დაცვის

უზრუნველყოფის პირობების დარღვევაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლას მიეცა რჩევა, საქმისწარმოების დოკუმენტში ნახსენები საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელი პირის პოზიციის თაობაზე ჩანაწერი შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის სტრუქტურასა და სამუშაო აღწერილობებში არსებული პოზიციებიდან ერთ-ერთთან - საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან, HR მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს როგორცაა eschool.emis.ge-ს სისტემა, ელექტრონული ფოსტა, ორისის ბუღალტრული პროგრამა. პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge, საკომუნიკაციოთ იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. თუმცა დადგინდა, რომ სკოლა საქმისწარმოების პროცესში არ იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მიუთითა, რომ უზრუნველყოფს საქმისწარმოების პროცესში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებას. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც „მეტწილი“.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლას გააჩნია პროფილი, რომელშიც შეყვანილია ინფორმაცია სკოლის შესახებ, პერსონალის, მოსწავლეებისა მშობლების შესახებ. შეყვანილია არჩეული სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაცია და მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა კომუნიკაციას ამყარებს რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას. სკოლა ასევე წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას შემოსავლების სამსახურში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა;
- სკოლის პროფილი eschool.emis.ge-ზე;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

მშობლებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ დამრიგებლები მშობლების ინფორმირებას ახორციელებს სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების მეშვეობით, ასევე ზეპირსიტყვიერად, სკოლაში ვიზიტისას და სატელეფონო კავშირის საშუალებით. მშობლებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფებიან როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან, ასევე კლასის დამრიგებელთან.

სკოლის საკომუნიკაციო ფუნქციას ასევე ასრულებს ელექტრონული ჟურნალი.

ვებ-გვერდი <https://retsa.edupage.org/> შედგება შემდეგი განყოფილებებისგან: მთავარი გვერდი, სიახლეები, სწავლა-სწავლება, ბიბლიოთეკა, გალერეა, ლინკები, კონტაქტი, ანგარიშში შესვლა და რეცა, რომელიც თავის მხრივ ჩაშლილია ქვეგანყოფილებებად.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, ვებ-გვერდზე მთავარ გვერდის, სიახლეებისა და გალერეის განყოფილებაში შეტანილი იყო მხოლოდ 2022 და 2024 წლის საზაფხულო ბანაკის შესახებ ფოტოები და მოკლე ინფორმაცია, ცარიელი იყო სწავლა სწავლების განყოფილება, ბიბლიოთეკის განყოფილებაში ცარიელი იყო სამუშაო საათების და კატალოგის ქვეგანყოფილებები. რეცას განყოფილებაში შეტანილი იყო ზოგადი ინფორმაცია სკოლის ისტორიის შესახებ, სამოქმედო გეგმა, შინაგანაწესი, ბიბლიოთეკის დებულება და საქმისწარმოების წესი, უსაფრთხოების წესი (რომელიც არ არის შეთანხმებული სამინისტროსთან), სკოლის სტრუქტურა, ფილოსოფია და სკოლის სიმბოლო. ცარიელი იყო სკოლის გუნდისა და სკოლი დირექტორის ქვეგანყოფილებები.

სკოლის ფეისბუქ გვერდზე „სკოლა რეცა“ არ ხდებოდა ინფორმაციის განთავსება სკოლის საქმიანობის და აქტივობების შესახებ.

ვებ-გვერდის გადამოწმებით დადგინდა, რომ ვებ-გვერდზე არსებული განყოფილებები არ იყო სრულყოფილად შევსებული, სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში სკოლის შესახებ განთავსებული ინფორმაცია იყო მოძველებული, არ ხდებოდა სიახლეების განთავსება, ინფორმაცია განთავსებული იყო უმეტესწილად საზაფხულო ბანაკების შესახებ, რომელიც განხორციელდა 2022 და 2024 წელს. ასევე მასზე არ იყო გათავსებული სასკოლო ცხოვრების დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც დაინტერესებულ პირს შეუქმნიდა წარმოდგენას სკოლის საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, იგი არ ასრულებდა საკომუნიკაციო ფუნქციას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მიუთითა, რომ უზრუნველყოფს ვებ-გვერდზე არსებული განყოფილებების სრულყოფილად შევსებას, სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში სკოლის შესახებ ინფორმაციის განახლება განთავსებას, სასკოლო ცხოვრების დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების განთავსებას. შესაბამისად, იგი ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-06.12.2024 პერიოდი, ხოლო შენიშვნის გრაფაში შესრულების სტატუსად მიუთითა „დასრულებული“.

ვინაიდან სკოლის ვებ-გვერდის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლამ განახლა და განათავსა ინფორმაცია სკოლის ვებ-გვერდზე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირია IT სპეციალისტი, რომლის სამუშაო აღწერილობითაც აღნიშნულ პირს ევალება სკოლის ვებ-გვერდზე დოკუმენტაციის და თანამშრომლების შესახებ ინფორმაციის განთავსება, ასევე ვებ-გვერდის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომლითაც იღებს ვალდებულებას საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს საჯარო დოკუმენტები (განათავსოს საინფორმაციო დაფაზე, ატვირთოს სკოლის ვებ გვერდზე, სხვა); ასევე, მიაწოდოს საჯარო ინფორმაცია, კანონის სრული დაცვით, საზოგადოების დაინტერესებულ წევრს მისთვის ხელსაყრელი ფორმით (ელექტრონული ვერსია/ამობეჭდილი);

დგინდება, რომ არ ხდება მოსწავლეთა და თანამშრომელთა მიღწევების, განხორციელებული აქტივობებისა და საგანმანათლებლო სივრცეში არსებული სიახლეების შესახებ ვებ-გვერდის ან/და სოციალური ქსელის მეშვეობით. ასევე სკოლის შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე არ იყო განთავსებული ასეთი სახის ინფორმაცია.

სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერებით დადგინდა, რომ მასზე განთავსებული არ იყო ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. სკოლას, ასევე, არ ჰქონდა აქტიური გამოყენების სოციალური ქსელი, რომელსაც შესაძლოა ჰქონოდა ალტერნატიული ინფორმაციის გავრცელების წყაროს ფუნქცია. შესაბამისად, სკოლის მიერ არ ხდებოდა თავისი საქმიანობის, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

სკოლის ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის შესაბამისი გვერდის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლამ მასზე განათავსა ინფორმაცია სკოლის საქმიანობის და შეთავაზებული სერვისების შესახებ. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით „შეესაბამება“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლა ინფორმაციის შესაგროვებლად იყენებს არსებულ საკომუნიკაციო არხებს: retsa_22@hotmail.com, სკოლის კანცელარია, ელექტრონული ჟურნალი, ჩატი სოციალურ ქსელში. სკოლამ წარმოადგინა ფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს მასწავლებელთა და მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, *სკოლამ ვერ წარმოადგინა დამდასტურებელი ინფორმაცია მოსწავლეებელთა და მასწავლებელთა გამოკითხვის, მათგან უკუკავშირის მიღებისა და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უკუკავშირის გათვალისწინებასთან დაკავშირებით.*

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მიუთითა, რომ სკოლაში არსებულმა ხარისხის მართვის ჯგუფმა უზრუნველყო მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების კვლევის ჩატარება, კვლევაზე დაყრდნობის გაწერა შესაბამისი ინტერვენციები და გასახორციელებელი აქტივობები გეგმა-გრაფიკის სახით. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-06.12.2024 პერიოდი, ხოლო შესრულების სტატუსად მიუთითა „დასრულებული“.

ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი <https://retsa.edupage.org/>, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, კერძოდ, სწავლების განხორციელების ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამდასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, ჩარიცხვის პროცედურები (მოცემულია სკოლის შინაგანაწესში), სასწავლო პროცესის აუცილებელი მოთხოვნები, რომელიც ასევე მოცემულია სკოლის შინაგანაწესში, 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დაცსაკონტაქტო ინფორმაცია.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, ვებ-გვერდზე არ იყო განთავსებული სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორით გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაცია: პროგრამების სახელწოდებები, რომელზეც ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესს, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, სკოლის ფინანსური მდგრადობის შესახებ ინფორმაცია.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მიუთითა, რომ ვებ-გვერდზე განთავსა სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაცია, ხოლო სამოქმედო გეგმის ანგარიში და სკოლის ფინანსური მდგრადობის შესახებ ინფორმაცია დაემატება შემდგომში. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც „მეტწილი“.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი <https://retsa.edupage.org/>;
- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- სკოლის ელექტრონული ჟურნალი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლას ეთოხვა წარმოედგინა ბიუჯეტი იმისათვის, რომ შეფასებულიყო ფინანსური რესურსების არსებობა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში არ იყო გათვალისწინებული რა ფინანსური რესურსით გეგმავს სკოლა აქტივობების განხორციელებას. გარდა ამისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის შემოსავლისა და ხარჯის ამსახველი სკოლის ბიუჯეტი. სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სკოლას არ აქვს ბიუჯეტის ამსახველი დოკუმენტი. შესაბამისად, ვერ დადასტურდა სკოლის ფინანსური სახსრებით სამოქმედო გეგმის განხორციელების შესაძლებლობა და სკოლის ფინანსურად მდგრადობა.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც „მეტწილი“.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია შემდეგი გარემოების გამო:

სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში გაწერილი აქვს, რომ ბიუჯეტს წარმოდგენას სამოქმედო გეგმასთან შესაბამისობაში 1 წლის ვადაში. ამავდროულად, სამოქმედო გეგმის შედგენის ვადად 1.2.1.3 და 1.2.1.4 ინდიკატორებთან განსაზღვრული აქვს 02.12.2024-27.12.2024 პერიოდი. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, მათ შორის, უნდა მოიცავდეს აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსურ

რესურსებსაც. შესაბამისად, ბუჯეტის შედგენისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან თანხვედრაში წარმოდგენისთვის სკოლის მიერ განსაზღვრული 1 წლიანი ვადა არ არის გონივრული. ამასთანავე, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის გათვალისწინებით, სკოლას უკვე უნდა ჰქონდეს მობილიზებული ფინანსური რესურსი დაგეგმილი სასწავლო პროცესის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, 2025 წლის 1 დეკემბრამდე სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლის გადავადება აზრს მოკლებულია. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეიცვლილა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განაცხადა, რომ სკოლისათვის რესურსების შეძენის საჭიროებას ადგენენ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებას. სკოლამ ვერ წარმოადგინა ფინანსური მართვის, კერძოდ, შემოსავლისა და ხარჯის დაგეგმვის, ფინანსების მონიტორინგისა და ანალიზის სისტემის არსებობის ვერანაირი შიდა მოქმედი მექანიზმი, შესაბამისად, სკოლას არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მიუთითა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემას. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც „მეტწილი“.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზის უზრუნველყოფის აქტივობების 1 წლის ვადაში განხორციელებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლის ფინანსური მართვის სისტემა მოიცავს ფინანსების მოძიებას, მობილიზებას, ბიუჯეტირებას, შემოსავლისა და ხარჯის ასახვას, ფინანსური ოპერაციებისა და დაგეგმილი პროცესები შემდგომ მონიტორინგს რისკების მართვის მიზნით. აღნიშნული პროცესის 2025 წლის 01 დეკემბრამდე გადავადება გულისხმობს ამ პროცესის არარსებობას კიდევ მომდევნო 1 წლის განმავლობაში, რაც შეაფერხებს დაწესებულების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეიცვლილა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები როგორცაა შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმა, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტაციის მექანიზმი, პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია, გადაწყვეტილებების გასაჩივრების

პროცედურა, ბიბლიოთეკის დებულება და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. ყველა შიდა სასკოლო რეგულაცია ემსახურება სკოლაში მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებას და მათი ინტერესების დაცვას.

სკოლის შინაგანაწესში მოცემულია დებულება, რომლის თანახმადაც სკოლაში ყოფნის დროს მობილური ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლეს ჩამოერთმევა აღნიშნული ტელეფონი და ერთი კვირის (შვიდი კალენდარული დღის) შემდეგ გადაეცემა მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. აღნიშნული გადაცდომის განმეორების შემთხვევაში, შესაძლებელია მოსწავლეს ტელეფონი ჩამოერთვას ერთ თვემდე ვადით. ამგვარი ზომის გამოყენებით ირღვევა მოსწავლის უფლება, ვინაიდან მოსწავლეს ეზღუდება ტელეფონით სარგებლობის უფლება ხანგრძლივად და არასასწავლო დროს. სკოლას მიეცა რჩევა, აღნიშნული საკითხი დაარეგულიროს იმგვარად, რომ არასასწავლო მიზნით ტელეფონის გამოყენების უფლება შეზღუდოს სასწავლო პროცესის განმავლობაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის შინაგანაწესი, ბიბლიოთეკის დებულება. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა უფლებების დაცვის რეგულაციები. მშობლებთან გასაუბრებისას მათ განაცხადეს, რომ დამრიგებლები ხვდებიან მშობლებს როგორც ინდივიდუალურად, ისე მშობელთა კრებებზე და აცნობენ სასკოლო რეგულაციებს, აწვდიან ინფორმაციას ცვლილებებზე. თუმცა, სასკოლო რეგულაციებიდან შეძლეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესის დასახელება.

სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს მოსწავლეების და მშობლების უფრო მეტად ინფორმირება მოქმედი სასკოლო რეგულაციების შესახებ და აღნიშნული რეგულაციები განათავსოს საჯაროდ, სკოლის საინფორმაციო დაფასა და ვებ-გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გაფორმებულია ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, მომსახურების საფასური, სერვისის მიწოდების რეგულაციები და მნიშვნელოვანი საკითხები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;
- პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტაციის მექანიზმი;
- პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია;
- გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურა;
- ბიბლიოთეკის დებულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამღევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამღევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამღევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამღევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლის სკოლაში ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით ასევე დარეგულირებულია მოსწავლის სხვა სკოლიდან მობილობის შემთხვევაში ჩარიცხვის რეგულაციები.

შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის სტატუსის შეჩერების, აღდგენის და სტატუსის შეწყვეტის პროცედურებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კლასისა და საფეხურის დაძლევის წესები.

ზემოთ აღნიშნული შიდა რეგულაციები შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებას და ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სკოლას მიეცა რჩევა, შიდა მარეგულირებელი რომელიმე დოკუმენტში ასახოს მოსწავლის უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურა და ჩარიცხვის წესიც, რათა მეტად მკაფიო და გამჭვირვალე იყოს მოსწავლის უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლის მიერ გამოცემული მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენისა და კლასის/საფეხურის დაძლევის შესახებ ბრძანებების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება კანონმდებლობის და სკოლის მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ბოლო წლებში არ ჰქონიათ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევა. შერჩევითი პრინციპით შემოწმებულ პირად მოსწავლეთა პირადი საქმეებში შეტანილია აუცილებელი ინფორმაცია და განთავსებულია პირადი საქმის შემადგენელი აუცილებელი დოკუმენტაცია.

მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და საფეხურის დაძლევის ბრძანებებში არ არის მითითებული სამართლებრივი საფუძვლები. ბრძანებებში საფუძვლად მითითებულია მხოლოდ მშობლის განცხადება. **სკოლას მიეცა რჩევა, გამოცემულ ბრძანებებში მიუთითოს შესაბამისი კონკრეტული საკანონმდებლო ან/და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციით განსაზღვრული საფუძვლები. ასევე, მოსწავლეთა პირველ კლასში განსხვავებულ ვადებში ჩარიცხვის ბრძანებებში ასახოს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობა.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესავალში, სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილად მოცემულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. გეგმის მე-4 პუნქტში გათვალისწინებულ შესაბამის თავში კი *ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მომსახურების სახით მოცემულია ისეთი საგნების ჩამონათვალი, რომელთა სწავლებაც სავალდებულოა ეროვნული სასწავლო გეგმით (უცხო ენები, ისტორია, მათემატიკა)*. ამავე თავში, III და IV კლასებში სავალდებულო საგნის სახით, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, გათვალისწინებულია მეორე უცხო ენის - რუსული ენის სწავლებაც.

სასკოლო სასწავლო გეგმა არ მოიცავს სხვა დამატებითი მომსახურების სახეებს, მომსახურების გაწევის პირობებს, პროგრამას და სწავლების სპეციფიკას, ფასიანი თუ უფასო მომსახურების გაწევის პირობებს, თუმცა მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება დამატებითი სტანდარტს მიღმა მომსახურებები, რომელთა მიწოდებაც ხდება ძირითადი ხელშეკრულების ფარგლებში (გახანგრძლივებული სწავლება, სატრანსპორტო მომსახურება, ჭადრაკის წრე). მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, რომ ძირითად საგანმანათლებლო მომსახურებასთან ერთად ხორციელდება კონკრეტული დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებაც. მსგავს რეგულაციას არ ითვალისწინებს არცერთი შიდა სასკოლო დოკუმენტი. სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაცია არ არის გამოქვეყნებული არცერთ საჯარო სივრცეში თუ დოკუმენტში, რომელიც საჯაროდ იქნებოდა ხელმისაწვდომი.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად მიუთითა სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება სკოლის ვებ გვერდზე, ხოლო ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-01.12.2025 პერიოდი. სკოლამ შესაბამისობის ტიპში მიუთითა „მეტწილი“.

სკოლის ვებ-გვერდის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლამ უკვე განახორციელა სკოლის საქმიანობის და შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაწილის განთავსება, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის გამჭვირვალედ და საჯაროდ გაცნობას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის სრულად აღმოფხვრა.

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე დადგინდა, რომ სკოლა არც ვებ-გვერდის და არც სოციალური ქსელის მეშვეობით არ ავრცელებდა ინფორმაციას იმ პროგრამების, სერვისების, აქტივობების და რესურსების შესახებ, რომელსაც სთავაზობს მოსწავლეებს. ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში არ ახორციელებდა ინფორმაციის განახლებას.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად მიუთითა, რომ სკოლა ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში ახორციელებს ინფორმაციის განახლებას, აქტივობებისა და სერვისების შესახებ, რომელსაც სთავაზობს მოსწავლეებს, ხოლო ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-06.12.2024 პერიოდი. სკოლამ შენიშვნის გრაფაში შესრულების სტატუსად განსაზღვრა „დასრულებული“.

სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლამ განახორციელა ინფორმაციის განახლება აქტივობებისა და სერვისების შესახებ, რომელსაც სთავაზობს მოსწავლეებს და აღნიშნული ინფორმაცია არის კანონის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა ბრძანებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომელშიც აღწერილია მოსწავლის პირველ კლასში მიღებისას და სხვა სკოლიდან გადმოსვლისას ადაპტაციის ხელშემწყობი პროცედურები. აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობისა და ადაპტაციის პროცესის ეფექტურობისთვის, სკოლას ასევე შემუშავებულია აქვს რეკომენდაციები მშობლებისთვის. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები მოიცავს დამრიგებლის ჩართულობას და მის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს. ადაპტაციის მექანიზმის დაცვის კონტროლი ევალება დირექტორის მოადგილეს.

ვინაიდან სკოლაში დასაქმებულები არიან დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებში და დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ საკითხებში, სკოლას მიეცა რჩევა, დოკუმენტში დააკონკრეტოს თუ რომელ მოადგილეს ევალება ადაპტაციის მექანიზმის დაცვის კონტროლი.

ასევე, დოკუმენტი ითვალისწინებს მხოლოდ ახლად მიღებული მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის შემთხვევას. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, დოკუმენტში ასახოს სასწავლო პროცესის განმავლობაში, ადაპტაციის პრობლემის გამოვლენის და მიზეზის დადგენის გზები ნებისმიერ მოსწავლესთან მიმართებით, განსაზღვროს აღნიშნულ პროცესში ჩართული მხარეები და ადაპტაციის განხორციელების პროცედურა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სკოლის მიერ შემუშავებულია მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი მოიცავს რეგულაციებს პირველი კლასის მოსწავლეებთან მიმართებით. კერძოდ, მომავალი პირველკლასელთა მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის ეწყობა ღია კარის დღე. სკოლაში შემოსვლის პირველ დღეს ტარდება საუბარი პირველ კლასელებთან დამრიგებლის მიერ. პირველ კვირაში პირველკლასელები ეცნობიან სკოლის ინფრასტრუქტურას, სხვადასხვა დანიშნულების ოთახებს და ა.შ. მობილობით გადმოსული მოსწავლის შემთხვევაში კი, მოსწავლის გადმოსვლიდან მაქსიმუმ 1 კვირაში დამრიგებელი გეგმავს დამრიგებლის საათს შესაბამისი თემატიკით, რომლის მიზანია მოსაველეთა დამეგობრება.

მშობლებმა გასაუბრებაზე გაიხსენეს სკოლასთან წარმატებული ადაპტაციის არაერთი შემთხვევა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

საგნის მასწავლებლის ხელშეკრულებაში გაწერილია ვალდებულება მოსწავლესთან გაწიოს დამატებითი სამუშაო აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად.

მშობლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ საგნის მასწავლებლები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ჩამორჩენის დასაძლევად ხშირად მუშაობენ მოსწავლეებთან ინდივიდუალურად. საგნის მასწავლებლები საჭიროების მიხედვით უტარებენ კონსულტირებას სწავლის დასრულების შემდგომ არასაგაკვეთილო დროს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ სკოლის მასწავლებლები იმდენად ეხმარებიან მოსწავლეებს, რომ მათმა უფროსმა შვილებმა, რომლებმაც დაასრულეს აღნიშნული სკოლა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასარიცხად არ დასჭირვებიათ რეპეტიტორებთან დამატებით მეცადინეობა. სკოლის მასწავლებლები მოსწავლეს აკადემიურ მხარდაჭერას ასევე უწევს ექსტერნის გამოცდები წინ საკონსულტაციო საათების ფარგლებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლის მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მუდმივად მზადყოფნაშია მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად განახორციელოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა აკადემიური თუ საორგანიზაციო კუთხით. სკოლა კონსულტაციებს უწევს მოსწავლეებს ექსტერნატის გამოცდების წინ. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა გამოყოფს სასკოლო სივრცეებს აქტივობების განსახორციელებლად. სკოლის ვებ-გვერდის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლა ორგანიზებას უწევს საზაფხულო ბანაკებს და მასში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლას აქვს მოსწავლის მხარდამჭერი მექანიზმი, რომელიც ვრცელდება სკოლის ყველა მოსწავლეზე. მექანიზმი ითვალისწინებს კლასის დამრიგებლისა და დირექციის ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.

მოსწავლის ინიციატივების წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს წერილობით ან/და ზეპირად. მოსწავლეს ან/და მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს შეუძლია ინიციატივით მიმართოს კლასის დამრიგებელს/დირექციას და ჩაერთოს ინიციატივის განხილვის პროცესში. კლასის დამრიგებელი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მოსწავლის ან/და მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივას და მიმართოს სკოლის დირექციას.

სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლოა სკოლაში შეიქმნას მოსწავლეთა ინიციატივების განხილვისა და განხორციელების მხარდამჭერი ჯგუფი, ასევე. მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელების პროცესისა და შედეგების მონიტორინგის ჯგუფი.

მოსწავლეთა ინიციატივების განსახორციელებლად შესაძლებელია მოხდეს ფინანსური რესურსის მობილიზება, ასევე სხვა ისეთი რესურსის მობილიზება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელებას, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით სპეციალური სამუშაო სივრცის მოწყობა და საინფორმაციო კამპანიის წარმოება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლამ წარმოდგინა გამოკითხვის მიზნით შემუშავებული ფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს მასწავლებელთა და მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევას და უკუკავშირის მიღებას. თუმცა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, *სკოლამ ვერ წარმოადგინა*

დამდასტურებელი ინფორმაცია აღნიშნული კითხვარების მეშვეობით გამოკითხვის განხორციელების, უკუკავშირის მიღებისა და მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად მიუთითა, რომ სკოლაში არსებულმა ხარისხის მართვის ჯგუფმა უზრუნველყო მოსწავლეთა გამოკითხვა უკუკავშირის მიღების მიზნით. მასზე დაყრდნობით გაწერა შესაბამისი ნაბიჯები და გასახორციელებელი აქტივობები გეგმა-გრაფიკის სახით. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-06.12.2024 პერიოდი, შენიშვნის გრაფაში კი შესრულების სტატუსად მიუთითა „დასრულებული“.

წარმოდგენილი მტკიცებულების შესწავლით დგინდება, რომ სკოლამ განახორციელა მოსწავლეთა გამოკითხვა და შეადგინა გასატარებელი აქტივობების გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება“.

სკოლას მიეცა რჩევა, საჭიროებების კვლევას არ ჰქონდეს ერთჯერადი ხასიათი, კვლევა განახორციელოს სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, დაწეროს როგორც სისტემატური ხასიათის ღონისძიება, გამოკითხვა ასევე ჩაატაროს მშობლებში/კანონიერ წარმომადგენლებში მათი აზრის გამოსაკვლევად და შედეგების ანალიზი გამოიყენოს მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
- მოსწავლეთა მხარდამჭერი მექანიზმი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტაციის მექანიზმი. მექანიზმის მიზანია დაეხმაროს მოსწავლეს პროფესიის არჩევაში, მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მექანიზმებით განსაზღვრულია პროცესში ადმინისტრაციის ჩართულობაც.

სკოლას 2024 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ კოლეჯ მოდუსთან, რომლის მიზანია მხარეთა თანამშრომლობა, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების და ღონისძიებების ერთობლივად ორგანიზების/განხორციელების, სკოლის მოსწავლეების პროფესიული უნარების განვითარების მიმართულებით დაინტერესების და კოლეჯის პოპულარიზაციის მიზნით. სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრების დროს განაცხადა, რომ ნოემბრის მეორე ნახევრიდან იგეგმება მოსავლეთა ვიზიტი პროფესიულ სასწავლებელში და ერთობლივი ღონისძიებების აქტიურად განხორციელება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

მოსწავლეთა მშობლებმა გასაუბრებაზე განაცხადეს, რომ სადამრიგებლო საათის ფარგლებში, დამრიგებლები და ასევე მასწავლებლები ჩართულები არიან მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის პროცესში და აძლევენ შესაბამის რჩევებს. მშობლებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ მასწავლებლებიც ჩართულები არიან მოსწავლეთა უნარების აღმოჩენაში და ხელს უწყობენ მოსწავლეების მოტივაციას. გაიხსენეს კონსულტირების კონკრეტული შემთხვევებიც.

სკოლას მიეცა რჩევა, კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შესახებ ინფორმაცია გაზადოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი, მიაწოდოს კლასების დამრიგებლებს და მოსწავლეებს. ასევე, განსაზღვროს მომსახურების განხორციელებაში ჩართული პასუხისმგებელი პირები და შეიმუშაოს მომსახურების კონკრეტული გეგმა/განრიგი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრების დროს განაცხადა, რომ არ განუხორციელებია კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეფასება და შედეგების გათვალისწინება. მექანიზმების შემუშავება და დამტკიცება მოხდა 2024 წლის აგვისტოს თვეში. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა**, მიმდინარე წლიდან განახორციელოს მიწოდებული სერვისის შეფასება და შედეგები გაითვალისწინოს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტაციის მექანიზმი;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მოდუსთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. სკოლაში მონიტორინგის განხორციელების პროცესში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობის ასპექტებს, შეფასების პრინციპს, ისგ ჯგუფის შექმნის და საქმიანობის რეგულაციას, ასევე აღნიშნულ პროცესში ჩართულ მხარეებს.

სკოლას მიეცა რჩევა. სსსმ მუშაობის მექანიზმში (სსგ-ში ან ცალკე დოკუმენტში) უფრო დეტალურად ასახოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დადგენის საფუძვლები, პროცედურები, ვადები, მშობლის უფლებამოსილება, სტატუსის მიმნიჭებელი უფლებამოსილი ერთეულები იმისათვის, რომ დაინტერესებული მშობლისთვის წინასწარ და სრულყოფილად იყოს ცნობილი აღნიშნული მექანიზმების არსებობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, კერძოდ, ისე ჯგუფის შექმნას, რომელშიც ჩართულები იქნებიან როგორც საგნების მასწავლებლები, ასევე სკოლის ფსიქოლოგი, კლასის დამრიგებელი და მშობელი.

სკოლას მონიტორინგის პროცესში არ ჰყავდა ფსიქოლოგი, თუმცა სკოლის სტრუქტურა ითვალისწინებს ფსიქოლოგის პოზიციას, ხოლო სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი, ფსიქოლოგის ფუნქციებს. სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს ფსიქოლოგის დასაქმება, იმისათვის, რომ შექმნას მზაობა საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ფსიქოლოგის მომსახურების გაწევაზე. ასევე, სამუშაო აღწერილობების დოკუმენტში, ფსიქოლოგის ფუნქციებში ასახოს სსსმ მოსწავლესთან გასაწევი სამუშაო.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრების დროს განაცხადა, რომ სკოლა ახორციელებს კვების მომსახურებას.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლას ეთხოვა წარმოედგინა დამატებითი სერვისების განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტები (ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, HACCP-ის სტანდარტის არსებობის დოკუმენტი ადგილზე საკვების წარმოების შემთხვევაში), თუმცა სკოლას მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლა არ ახორციელებდა კვების დამატებით სერვისს ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში რეგისტრაციის საფუძველზე და არ ჰქონდა HACCP-ის სტანდარტის არსებობის დოკუმენტი.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად მიუთითა, რომ ახორციელებს კვების დამატებით სერვისს ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში რეგისტრაციის საფუძველზე და აქვს HACCP-ის სტანდარტის არსებობის დოკუმენტი. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-06.12.2024 პერიოდი, შენიშვნის გრაფაში კი შესრულების სტატუსად მიუთითა „დასრულებული“.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, თანდართული მტკიცებულებების სახით წარმოადგინა HACCP-ის სტანდარტის დანერგვის და კვების ბლოკის ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლამ ვერ წარმოადგინა დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევის თაობაზე განმახორციელებელ პირებთან და მომსახურების მიმღებ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, შესაბამისად, სკოლა დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სერვისს არ ახორციელებს მიმღებ მხარესთან შეთანხმებული პირობებით.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მიუთითა, რომ დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სერვისს განახორციელებს მიმღებ მხარესთან შეთანხმებული პირობებით. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-27.12.2024 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც „მეტწილი“.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებული.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლა ახორციელებს ისეთ სერვისებს, როგორიცაა ჭადრაკის წრის მომსახურება, კვების ობიექტის და ტრანსპორტის მომსახურება, თუმცა სკოლამ, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, ვერ წარმოადგინა დამატებითი სერვისების განმახორციელებელი პირების (მძღოლების) და მომსახურების გაწევის პირობების შესახებ ინფორმაცია, სასკოლო კვების ობიექტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით დოკუმენტაცია (მონიტორინგის კომისიის ბრძანება და შემოწმების აქტი, უსაფრთხო კვების სტანდარტის არსებობის დოკუმენტი), სტრანსპორტის ტექნიკური გამართულობის დოკუმენტაცია.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, იმ დამატებითი მომსახურების გაწევა, რომელსაც არ სჭირდება განხორციელების სპეციალური უფლების მოპოვება, არ ხორციელდებოდა უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად მიუთითა ჭადრაკის წრის, კვების ობიექტის და ტრანსპორტის მომსახურების გაწევა უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.12.2024-27.12.2024 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც „მეტწილი“.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, მტკიცებულებების სახით წარმოადგინა კვების სერვისის ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში რეგისტრაციისა და აქვს HACCP-ის სტანდარტის არსებობის დოკუმენტი, ასევე, წარმოადგინა მძღოლების მართვის მოწმობები და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის დოკუმენტაცია. სკოლას არ წარმოუდგენია, სერვისების მიმღებ პირთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ან შეთანხმებები, რომლებშიც ასახული იქნება დამატებითი სერვისების მიწოდების ფარგლებში უსაფრთხოების დაცვის პირობები.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო საზოგადოებასთან განხორციელებული ინტერვიუ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;
2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;
3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;
4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმი;
- შეფასების რუბრიკები;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;

- კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
- სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
- მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

- ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული (იხ.ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმა).
- ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული (იხ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმა).
- ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული (იხ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმა).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- საათობრივი ბადე;
- განხორციელებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- დაგეგმილი პროექტის ნიმუში;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული (იხ. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმა).
2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული (იხ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმა).
4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- განხორციელებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- ადაპტირებული დავალებები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
4. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული (იხ.ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ესთეტიკური აღზრდის, უცხო ენების, სახელმწიფო ენისა და მათემატიკის საგნობრივი ექსპერტების საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმები).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის აღრიცხვის დოკუმენტი
- ინვენტარის ამსახველი ფოტომასალა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
 - ☒ შესაბამემა
 - ☐ მეტწილად შესაბამემა
 - ☐ ნაწილობრივ შესაბამემა
 - ☐ არ შესაბამემა

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
